ბიბლიოთეკა
თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით.

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. ს. ს.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ. დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია:
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 24 მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76
მდივანი 10—58

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 26
ტელეფ. 5—48

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.800.000 მან. განცხადება 12 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი, სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

№ 160 შაბათი 14 ივლისი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 75,000 მან. № 160

დ ღ ი უ რ ი

— საბჭოთა რესპუბლიკების წარმომადგენლად ინგლისში დაინიშნა ამხ. რაკოვსკი.

— რუსეთში ჩამოდიან ევროპის ციხეებიდან გამოქცეული რევოლიუციონერები.

— ამერიკის სავაჭრო წრეები ფართე კამპანიას აწყობენ საბჭოთა რუსეთის ცნობისათვის.

— იტალიის ვაჭრები დიდ პავილიონებს აშენებენ რუსეთის გამოფენაზე.

— საფრანგეთ-ბელგიის ჯარმა რურის ოლქში დაიკავა ქალაქი ლიმბურგი.

ყველა ოლქკომებს და მაზრკომებს

საჰაერო ფლოტის კვირეული საქართველოში გატარდება ა. წ. 2--9 აგვისტომდე.

ს. ქ. პ. ც. ქ.—ის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

ჟურნალისტი

სრულიად რუსეთის განათლების მუშაკთა სამმართველოსთან არსებულ სრულიად რუსეთის ბეჭდვითი საქმის ცენტრალურ ბიუროს სექციის ორგანო.

ჟურნალი ემსახურება რუსეთისა და უცხოეთის განათლების საკითხებს, რუსეთისა და უცხოეთის ბეჭდვითი საქმისა და ლიტერატურის მუშაკთა ცხოვრებას.

გამოვიდა №№ 1, 2, 3, 4 და მე-5. ამ დღეებში გამოვა მეექვსე ნომერი.

შეკვეთა უნდა გაიგზავნოს პირდაპირ რედაქციაში შემდეგი მისამართით: მოსკოვი, ნიკიტის ბულვარი, სახლი № 8 რედაქცია „ჟურნალისტ“-ი; თითო ნომერი (გადაგზავნით) ღირს 1 მან. 50 კ. ჩერვონცებით, ფულის მიღების დღის კურსით.

ვინც 10 ცალზე მეტს გამოიწერს 10 პროც. დაეთმობა.

(5—1)

განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილების „ჩონი“-ს ორი წლის თავზე

ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვებისთვის ბრძოლის მთავარი სიმძიმე დაატყდა კომუნისტურ პარტიას, რომელმაც გაბედულათ ამართა დროშა სოციალისტური რევოლიუციისა და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა ძველ ფეოდალურ ბურჟუაზიულ კლასებს. შედარებით მცირერიცხოვანი და მეტად არახელსაყრელ პირობებში ბრძოლის დამწყები კომუნისტური პარტია ემყარებოდა მხოლოდ და მხოლოდ თავის საკუთარ ძალებს, რომლებიც მტკიცე შეკრულობით და ფოლადისებური დისციპლინით შეიარაღებულნი მიემართებოდენ პირველი მოწოდებისთანავე [illegible] ბრძოლის ამა თუ იმ ფრონტზე. ბურჟუაზია და მისი ამხანაგ-დამყოლი პარტიები, ხედავდენ რა კომუნისტურ პარტიის განცალკევებას სხვა პარტიებიდან, თავიდანვე წინასწარმეტყველებდენ საბჭოთა ხელის-უფლების მეტად ხანმოკლე, სულ რამდენიმე დღით თუ კვირით არსებობას, მის უახლოეს დასასრულს. მუშურ-გლეხურ მთავრობას, მათი აზრით, სულ რამოდენიმე დღის სიცოცხლე ექნებოდა და მისი გავლენა პეტროგრადსა და მოსკოვს იქით ვერ გასცილდებოდა.

სინამდვილეში სულ სხვა აღმოჩნდა. საბჭოთა ხელის-უფლება, რომელიც ნამდვილი შვილია ჩვენი პარტიისა, დღითი დღე ძლიერდებოდა, თანდათან უფრო მეტ ძალებს იკრებდა თავის გარშემო, აფართოებდა თავის მოქმედო რაიონს. კონტრ-რევოლიუციონერთა იმედები და წინასწარმეტყველება სრულებით გაცრუვდა; მუშურ-გლეხურმა მთავრობამ შესძლო შინაურ და გარეულ რეაქციასთან გამკლავება და თითქმის მთელ უზარმაზარ ყოფილ რუსეთის იმპერიის სივრცეზე საბჭოთა ხელისუფლების საბოლოოთ განმტკიცება.

რევოლიუციის ასეთი ბრწყინვალე გამარჯვების მიზეზი იყო სწორი, ალებული კომუნისტური პარტიის მიერ და გაბედული, თავდადებული ბრძოლა უმთავრესად ამ პარტიის წევრებისა, რომლებსაც არავითარი განსაცდელი და გასაჭირი არ აშინებდათ, ბრძოლის წყურვილს არ უკლებდათ. პარტიის შეიარაღებული ძალები მაგალითს აძლევდენ იმ მუშურ-გლეხურ მასებს, რომლებიც თავიდანვე დადგენ საბჭოთა ხელისუფლების დამცველთა რაზმებში. რეგულარული ნაწილები წითელი არმიისა თავიდანვე არ არსებობდენ, ისინი მხოლოდ ბრძოლის პროცესში აღმოიშვენ და განმტკიცდენ. რევოლიუციის პირველი დღეებიდანვე პარტიული შეიარაღებული ძალა თამაშობდა მთავარ როლს რევოლიუციონურ ბრძოლაში, ის იყო მთავარი დასაყრდნობი ძალა მუშურ-გლეხური დიქტატურისა და ეს დანიშნულება მას არც წითელი ჯარის ორგანიზაციული ჩამოყალიბების შემდეგ დაუკარგავს.

წითელი არმია და პარტიული შეიარაღებული ძალების შეერთებულმა გმირულმა ბრძოლამ გაწმინდა საბჭოთა რესპუბლიკების მთელი ტერიტორია ყოველგვარ ანტისაბჭოებრივი ძალებისაგან.

დამთავრდა სამოქალაქო ომი; შინაური და საერთაშორისო ბურჟუაზია იძულებული გახდა დროებით მაინც დაენებებინა შეიარაღებული ბრძოლისთვის, ამან კი შესაძლებელი გახადა წითელი არმიის მშვიდობიანობის პირობებზე გადაყვანა, მისი რიცხვობრივი შემადგენლობის საგრძნობლად შემცირება.

ამის შემდეგ პარტიული შეიარაღებული ძალების მნიშვნელობა არ შემცირებულა; განსაკუთრებული დანიშნულების „ჩონ“-ის ნაწილები, როგორც მხოლოდ და მხოლოდ მუშურ-გლეხური წრეებიდან გამოსული ძალა, თავიდანვე ფხიზლად იდგენ რევოლიუციის სადარაჯოზე, დღესაც ფხიზლად იცავენ რევოლიუციის მონაპოვართ. კომუნისტური იდეებით გაჟღენთილი და მრავალ ბრძოლაში გამობრძმედილი-გასალკლდევებული გვარდია რევოლიუციისა ბოლომდე ასრულებს თავის დიად დანიშნულებას.

აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილების შენახვისათვის მთავრობას ძალიან ცოტა, სულ უმნიშვნელო თანხის გაღება სჭირდება, ვინაიდან კომუნარები თავის მუდმივ სამუშევარს მოწყვეტილნი არ არიან, თავის შრომის ხელფასით ინახავენ თავს. ამნაირად მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს ბიუჯეტი თავისუფლდება ზედმეტი ხარჯებისაგან.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებიდანვე დაიწყო ამ ნაწილების შედგენა და დღეს ყველამ სოფლად და ქალაქად იცის, რომ რესპუბლიკის ყველა პუნქტებში არის ფხიზელი დარაჯი რევოლიუციისა, კომუნართა სახით, რომელიც პირველი დაძახებისთანავე სტოვებს ქარხნის კედლებს თუ სოფლის მინდვრებს და მიდის რევოლიუციის მონაპოვართა დასაცავად.

ყოველ პარტიულ ორგანიზაციასთან, იქნება ის საქალაქო და სამაზრო კომიტეტი, რაიკომი თემკომი თუ უჯრედი, არსებობს შეიარაღებული ძალა პარტიული მუშებისა, რომლებმაც ფიცი დასდეს ბოლომდე ემსახურონ ოქტომბრის რევოლიუციას. განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილებს საქართველოში ბრძოლა უმთავრესად უხდებოდათ ბანდიტებთან რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეებში; ამ ბრძოლაში მათ არა ერთი და ორი მსხვერპლი გაიღეს და სისხლით დაამტკიცეს თავისი ერთგულება მუშურ გლეხური ხელისუფლებისადმი. ხშირად ფეხშიშველი, უტანსაცმლოთ, და მშიერთ უხდებოდათ ბრძოლა განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილების კომუნარებს, მაგრამ ისინი უკან არ იხევდენ და თავდადებულათ განაგრძობდენ ბრძოლას რევოლიუციის ყველა მტერთა და კერძოდ ბანდიტთა წინააღმდეგ.

შინაური და საერთაშორისო ბურჟუაზია მძულვარებით უყურებს თავის მოსისხლე მოწინააღმდეგე კომუნისტურ რაზმს, საგანგებო დანიშნულების ნაწილების სახით, მაგრამ მით უფრო მეტი სიყვარულით და თანაგრძნობით შეჰყურებს მას საუკუნოებრივ მონობიდან განთავისუფლებული მუშა ხალხი, რომელიც ღირსეულად აფასებს რევოლიუციის ერთგულ დარაჯ-კომუნართა სამსახურს.

დღეს, 14 ივლის, საქართველოს მუშათა კლასი და მისი მებაირაღტრე კომპარტია მხურვალე სალამს უძღვნის რევოლიუციისათვის თავდადებულ მებრძოლ კომუნარებს და იმედით აღსავსე დღესასწაულობს განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილების ორი წლის არსებობის თავს.

გაუმარჯოს განსაკუთრებული დანიშნულების „ჩონ“-ი მებრძოლებს, გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას და მის მებაირაღტრე კომუნისტურ პარტიას!

ჩვენი მეურნეობის დეფექტები *)

ამხ. ჰანტურაიას წერილის გამო

(იხ. კომუნისტი № 157)

არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ჩვენს მეურნეობას და მისი უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოს—ს. მ. უ. საბჭოს აქვს დეფექტები და შეცდომები.

და ეს ადვილად გასაგებია. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან პროლეტარიატმა აიღო ხელში პოლიტიკური და ეკონომიური ძალა-უფლება. ჩვენ ვაშენებთ მეურნეობას ახალ საფუძვლებზე. ჩვენ ვმუშაობთ ისეთ პირობებში, როდესაც მომზადებული მეურნეები არ გვყავან და როცა ასეთები მხოლოდ აღმშენებლობის პროცესში მზადდებიან. აშკარაა, რომ ამ მუშაობის პროცესში ჩვენ უშვებდით შეცდომებს და ამ შეცდომებზედ ვსწავლობდით. არ არის გასაკვირი ისიც, თუ აქამდის კიდევ ცოტა რამ შეცდომებს უშვებთ და ჩვენი მეურნეობა კოჭლობს, და თუ მას აქვს ზოგიერთი დეფექტები რომელნიც ჩვენ უნდა მოვსპოთ, ეს ერთი ჩვენი უბედურებაა.

მეორე უბედურება—უფრო საშიში,—მდგომარეობს იმაში, რომ ზოგიერთი ამხანაგები კარგათ ვერ ირკვევიან სამეურნეო საკითხებში, ამოგლეჯენ ჩვენი სამეურნეო მოღვაწეობიდან და პროექტიდან ზოგიერთ შესაძლოა, ნამდვილ ფაქტებს ანუ მომენტებს და აქედან გამოჰყავთ ყოვლად ულოღიკო დასკვნანი.

პრაქტიკულად მეურნეობაში მომუშავენი ფრიად ძნელ პირობებში მუშაობენ, მათ უხდებათ ბრძოლა არა მარტო წარმოების დაბრკოლებებთან, ბევრ დროს და ენერგიას ართმევენ მათ აგრეთვე ის quasi მეურნეებიც, რომელნიც ვერ არჩევენ რკინის მარგილს (болт) ქანჩისაგან (гайка), რომელთაც მიაჩნიათ თავი ყოვლად მცოდნე კრიტიკოსებათ.

ამხ. ჰანტურაია სწერს ჩვენი მეურნეობის დეფექტებზედ, ესე იგი უ. ს. მ. ს. დეფექტებზედ, სადაც ის მუშაობდა თითქმის ორი წელიწადი. უნდა გვეფიქრა, რომ ამხ. ჰანტურაიას ორი წლის ყოფნას უ. ს. მ. ს. დაწესებულებაში უნდა შეექნა მისგან თუ კარგი მეურნე არა, ყოველ შემთხვევაში ჩვენი მეურნეობის ობიექტიური მეთვალყურე მაინც. მაგრამ, სამწუხაროთ, ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ მისი წერილი ამის საბუთს ვერ იძლევა.

თუ ამხ. ჰანტურაია ფიქრობს, რომ ს. მ. უ. საბჭოს არ ჰქონდა მუშაობის გეგმა, პირველ ყოვლისა ის ვალდებული იყო თვითონ გამორკვეულიყო იმ კითხვებში, რომლებიც მან თავის წერილში წამოაყენა და გამოემუშავებია გეგმა თავისი მკაცრი კრიტიკისა.

ამხ. ჰანტურაია ამბობს რა უ. ს. ს. ს. უგეგმობაზე, სრულებით ვერაფრით ვერ ამტკიცებს უ. ს. ს. ს. წინააღმდეგ მის მიერ დასმულ ბრალდებებს. ცოტა მეტი ინტერესი რომ გამოეჩინა მას ამ კითხვებისადმი და მოესურვა კეთილსინდისიერათ შეესწავლა ისინი,—გაიგებდა, რომ ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმი წელიწადში ოთხჯერ კვარტალებით, ადგენს თავის სამუშაო პროგრამას, რომელიც იწერება ქაღალდზედ, და ვისაც ნამდვილად აინტერესებს საქმე, შეუძლია ყოველ დროს გაეცნოს ამ პროგრამას ს. მ. უ. ს. ეკონომიური განყოფილებაში.

დავყვეთ ქვევით. ამხ. ჰანტურაია ლაპარაკობს კალკულიაციის შესახებ, რომელსაც ჩვენს მეურნეობაში დიდი მნიშვნელობა აქვს. თუმცა ამხ. ჰანტურაიას მოჰყავს ზოგიერთი ციფრები (ისიც დაახლოვებით, როგორც თვითონ ამბობს), მაგრამ ის ამ ციფრებში გაება და მან გამოიჩინა საქმის სრული უვიცობა და გაუგებრობა. ის გადაჭრით ამბობს, რომ საქონელს ფასებს ყოვლად უსაფუძვლოთ ადებენ, ამასთან თავის აზრს არაფრით არ ამტკიცებს და არც შეუძლია დაამტკიცოს, რადგან მისი აზრი სრულებით არ არის სწორი. თავის სტატიის ერთ ადგილას ის ამბობს, რომ ტყავის საქონელი, რომელიც ომიანობის წინ ღირდა 7 მან. ოქ. ეხლა შეფასებულია 25—35 მან. ოქრ. ეს ციფრებიც სისწორეს და სინამდვილეს მოკლებულნი არიან. თუმცა აქ საყურადღებოა აბსოლიუტურათ ციფრები კი არა, არამედ ის, როგორც ამბობს თვით ამხ. ჰანტურაია, რომ ომიანობის წინა ფასებთან შედარებით ზოგიერთ საქონლის ფასებმა მეტად აიწიეს. ეს მართალია. მხოლოდ მეორე ადგილზედ ამხ. ჰანტურაია თვითონ თავს იწკეპლავს, გოგოლის უნტერ-ოფიცრის ქვრივისავით, როდესაც აცხადებს, რომ ეხლა ფასები საქონელზედ (კერძოთ თუთუნის ნაწარმოებზედ) უნდა იყოს ომიანობის წინ ფასებზედ უფრო მაღალი, რადგან ოქროს სყიდვითი ძალა 1913 წ. შედარებით დაეცა 100—150 პროცენტით. ამხ. ჰანტურაია მთლიანად გაება ციფრებში, რომელნიც უკეთესი იქნებოდა არ მოეყვანა სრულებით, და შეიჭრა ქუჩაბანდში, საიდგანაც გამოსვლა მას არ ძალუძს. კიდევ უკეთესი იქნებოდა, სანამ თავის სტატიას „კომუნისტში“ დასწერდა, შემოსულიყო ს. მ. უ. ს. ეკონომ. განყოფილებაში, სადაც დარწმუნდებოდა, რომ კალკულიაცია ხდება დასაბუთებული ციფრებით (ამხ. ჰანტურაიას ციფრებით კი არა). ციფრები კარგი საქმეა, მხოლოდ იმათი მოხმარება უნდა იცოდეთ სისწორით.

საორგანიზაციო კითხვაში ამხ. ჰანტურაია ქუდ-მოგლეჯილი იჭრება ღია კარებში.

მას სურს უეჭველად დაამტკიცოს, რომ „ამდენ ხანს არ არის გამორკვეული რა წარმოების დარგი უნდა იქნეს უმ. ს. ს. ს. ხელმძღვანელობის ქვეშ დატოვებული და რა არა“. ამხ. ჰანტურაია აქ ააშკარავებს, რომ ის არ იცნობს ჩვენ სტრუქტურას და ფუნქციებს ჩვენი ტრესტების და განყოფილებებისას, რომელთაც აქვთ ჩაბარებული მრეწველობის განსაზღვრული დარგები. ჩამოთვლა აქ ყველა ამისა ამხ. ჰანტურაიას გასაცნობათ არ არის საჭირო და არც გვაქვს ამის საშუალება. თუ კი ზოგიერთი წარმოება იყო ჩამოშორებული ს. მ. უ. საბჭოდან, ეს მოხდა არა მისი მავნე განზრახვით და სურვილით. თუ ამხ. ჰანტურაია ადევნებდა თვალყურს ს. მ. უ. ს. მოქმედებას, მან უნდა იცოდეს, თუ რა ბრძოლა დასჭირდა ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმს ზოგიერთი წარმოების ჩამორთმევის შესახებ (ჩამორთმევის, ამხ ჰანტურაია, და არა ნებაყოფლობით დათმობის). მაგრამ ამას ამხ. ჰანტურაია მხედველობიდან უშვებს, რადგან მას სურს, რაც უნდა მოხდეს, დარჩეს მასწავლებლის და მხილებლის როლში.

გაუგებარია ყოველ შემთხვევაში, რომ ამხ. ჰანტურაიამ პირახდილათ გამოილაშქრა ს. მ. უ. ს. წინააღმდეგ დაუსაბუთებელი ფაქტებით და უვარგისი ციფრებით. ნუ თუ ის ფიქრობდა, რომ მას არავინ გასცემდა პასუხს და სრულიად არ გააქარწყლებდა მისი სიტყვერებას!

საფინანსო კითხვაში ამხ. ჰანტურაია ერთშია მართალი. სახელდობრ როცა ამბობს, რომ 1922 საფ. ანგარიში ჯერ არ არის მზად (ის ამ დღეებში მოთავდება). მაგრამ იმას არ სურს იცოდეს, რომ 1922 წ. უპატრონო საქონლის, ძირითადი და საბრუნავი თანხების აღრიცხვა-შეფასებამ, ინვენტარის შედგენამ გამოიწვია ბუნებრივი დაბრკოლება და შეჩერება ანგარიშების თავის დროზე შედგენაში. სრულებით არ არის მართალი ავტორი, როდესაც ამბობს, რომ „პრეზიდიუმმა არ იცის, რამდენი და რომელ განყოფილებამ უნდა გადმორიცხოს პრეზიდიუმის ფონდში“. იცით ამხ. ჰანტურაია, მაგრამ—თქვენ არ მოიწადინეთ მისი გაგება. მოგიწოდებთ თქვენ შემოხვიდეთ ფინანსიურ განყოფილებაში და მიიღოთ თქვენთვის საინტერესო ცნობები. (თუ კი თქვენ ნამდვილად გაინტერესებათ).

ამხ. ჰანტურაია შემდეგ იმუქრება, რომ ამგვარი ფაქტები ბევრი არისო, მაგრამ ამას ალბათ ამბობს იგი „შესაშინებლად“, რადგან სხვა „სასენსაციო“ ცნობები თავისი „საბარგო ყუთიდგან“ არ შეუძლია ამოიღოს.

უსაფუძვლოა ავტორის მსჯელობა აგრეთვე შინა-ვაჭრობის შესახებ. ამხ. ჰანტურაიამ უნდა იცოდეს, რომ ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა დიდი ხანია მიაქცია ყურადღება შინა-ვაჭრობის ანარქიას და სათანადო მოხსენებებიც იყო წარდგენილი რესპუბლიკის უმაღლეს ორგანოებში. ჯერ დამტკიცებულია წესდება ამხ. „საქართველოს ვაჭრობა“, რომელიც გამოდის კერძო ბაზარზედ, როგორც პატრონი მთელი რესპუბლიკის საქონლის ფონდებისა, რითაც შექმნის თავისთვის გაბატონებულ მდგომარეობას; სახელმწიფოს ექნება საშუალება იქონიოს ბაზარი თავის ეკონომიურ გავლენის ქვეშ. მეორე პროექტი (რომელიც აგრეთვე მიღებულია —არის დაარსება შინა-ვაჭრობის კომისიისა; კომისია შეიმუშავებს სავაჭრო კანონმდებლობას და ადმინისტრატიულ ზომებით მოაწესრიგებს ბაზარს. ს. მ. უ. საბჭოს და მისი სამეურნეო პოლიტიკის კრიტიკოსს უნდა სცოდნოდა ამ პროექტების არსებობა, მით უფრო, რომ პრესაში ამის შესახებ იყო მოთავსებული სათანადო ცნობები.

ეხება რა კონკურენციას, ამხ. ჰანტურაია, სხვათა შორის, სწერს, რომ ჩვენი პროვინცია საჭიროებს ტყავის საქონელს მაშინ, როდესაც აქ იგი ძნელი გასასაღებელია სხვა ტრესტების კონკურენციის გამო. აქ გაუგებრობას აქვს ადგილი. პროვინცია საკმარისად ვერ ღებულობს ტყავის ნაწარმოებს იმისთვის კი არა, რომ ჩვენ არ შეგვიძლია იქ საქონლის მიწოდება, არამედ მიტომ, რომ თბილისი თხოულობს თითქმის მთელი ჩვენი ქარხნების ნაწარმოებს. არ არის მართალი, ამხ. ჰანტურაია, რომ ტყავის განყოფილებას არ შეუძლია ცენტრში გაასაღოს თავის ნაწარმოები. დაიარეთ ერთხელ ტყავის განყოფილების საწყობები და მაღაზიები და თქვენ დარწმუნდებით, რომ ქარხნები ვერ ასწრებენ მომხმარებლების დაკმაყოფილებას, მიუხედავათ რუსეთის ტყავის სინდიკატის არსებობის, რომლის დაწეული ფასები ვერ უწევენ კონკურენციას ჩვენი ქარხნების ნაწარმოებს.

სამეურნეო კითხვები დღეს შეადგენენ ძირითადი კითხვებს საბჭოთა აღმშენებლობისას და საჭიროა მათ მიუდგეთ უფრო ფრთხილად და სერიოზულად, ვინემ ეს მოიმოქმედა ამხ. ჰანტურაიამ. დაუსაბუთებელ გამოსვლებს მხოლოდ ზიანი მოაქვთ ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის.

ტან.

---

*) სადისკუსიო. რედ.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტას“ ცნობები)

საკონტრიბუციო საკითხი

ინგლისის მთავრობის განცხადება

მთავრობის მოხსენება.

ლონდონი. 13 ივლისი. თემთა და ლორდთა პალატაში კერზონმა და ბალდუინმა გააკეთეს მოხსენებები ინგლისის პოზიციის შესახებ საკონტრიბუციო და რურის ოკუპაციის საკითხში. დეკლარაციაში ნათქვამია: „ყველა ქვეყნის ინტერესები მოითხოვენ შეთანხმებას, რაც ერთნაირად აუცილებელია როგორც გერმანიისათვის, ისე სხვა სახელმწიფოებისათვის. ეს კი შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ გერმანია გადაიხდის კონტრიბუციებს და ევროპა ეკონომიურად იქნება აღდგენილი. მოკავშირეები არაფერს არ დაზოგავენ ამ მიზნის მისაღწევად. პასუხისმგებლობა ერთნაირად აწვება საფრანგეთს, ბელგიას, იტალიას და ინგლისს, განსაკუთრებით ინგლისს და საფრანგეთს, რომლებმაც უდიდესი მსხვერპლი გაიღეს იმის გამო, რომ ისინი უძველესი კულტურული ქვეყნები არიან. ინგლისმა, ისე როგორც მისმა მოკავშირეებმა, გადასწყვიტა, რომ გერმანიამ უნდა გადაიხადოს მის მიერ ომის დროს მიყენებული ზარალი მისი ფინანსიური და ეკონომიური შესაძლებლობის მიხედვით. ინგლისის მთავრობა არ იჩენდა მერყეობას ამ საკითხში და დარწმუნებულია, რომ მერყეობას არც ინგლისის ერი გამოიჩენს. ინგლისი მზად არის მიმართოს ყველა ზომებს იმისათვის, რომ გერმანიამ შეასრულოს თავისი ვალდებულებები. მაგრამ როგორც საქმიანი ნაცია დარწმუნებულია იმაში, რომ გერმანიისგან იმაზე მეტის მოთხოვნით, რაც მის ძალებს აღემატება, დაზარალდება როგორც ინგლისი ისე მისი მოკავშირეები და მთელი ევროპა. ინგლისი თავიდანვე არ მალავდა იმას, რომ ოკუპაცია არ სწარმოებდა ისე, როგორც ამას მოითხოვდა კონტრიბუციის გადახდის ინტერესები. იანვარში ინგლისის წარმომადგენლები პარიზში გამოვიდენ წინადადებებით, რომელსაც ის აფასებდა როგორც დიდსულოვანების გამომჟღავნებას და ეკონომიური უბედურების თავიდან აცილების საშუალებას. ეს წინადადებები უარყოფილი იქნენ და ამის შემდეგ ინგლისი დარჩა განზე, თუმცა მას ძველებურად ასულდგმულებდა ერთგულება კავშირისადმი, რომელიც მისი აზრით იყო და არის ერთად ერთი საშუალება ევროპაში მშვიდობიანობის დასამყარებლად. ბევრი რამ, რაც წამოყენებული იყო ინგლისის მაშინდელ წინადადებებში, ამ ჟამად ხორციელდება. **მოკავშირეებმა მიიღეს უფრო ნაკლები კონტრიბუციები, ვიდრე ოკუპაციამდე. ეს კონტრიბუციები აწვევდნენ გერმანიის ეკონომიური სისტემის დაშლას, რამაც შეიძლოა მომავალში გამოიწვიოს მოკავშირეების მთელი ეკონომიური სისტემის დანგრევა.** საფრანგეთი და ბელგია ამტკიცებდნენ, რომ ოკუპაციის მიზანია გერმანიის მიერ კონტრიბუციების გადახდის უზრუნველყოფა. ამ მხრივ, მათსა და ინგლისს შორის უთანხმოება არის მეთოდებში და არა თვითმიზანში, მაგრამ **ასეთი მდგომარეობის გაგრძელება საშიშია თავის მხრივ. გერმანია ჩქარი ნაბიჯით მიექანება ეკონომიურ კრახისაკენ, რასაც მოჰყვება სოციალური და ეკონომიური ნგრევა.**

ოკუპაციით დაკავებულ ოლქებში მოსახლეობა საშინელ გაჭირვებას განიცდის სურსათის უქონლობის გამო. გერმანიის ეკონომიურად დასუსტების გამო ბუნებრივად განუსაზღვრელი დროით გადადებულია მის მიერ ვალების გადახდის საკითხიც. **ევროპის ყველა სახელმწიფოები ზარალობენ შექმნილ მდგომარეობით. ერთი ზარალობს თავისი ფულის ნიშნების კურსის დაცემით, მეორე საქონლის გაცვლა-გამოცვლის შემცირებით, უმუშევრობის ზრდით და სხვა.** ძნელი არ იქნება იმის თქმა თუ რა გავლენა მოახდინა ამ მდგომარეობამ ინგლისის ვაჭრობაზე, ამას გარდა ამ გარემოებამ გაადიდა უმუშევართა რიცხვი ინგლისში. ეს დაზარალება გაიზრდება და მას თან სდევს მორალური დაცემა. ევროპის საზოგადოებრივი აზრი უფრო და უფრო მწვავედ გრძნობს ამას, მას აშინებს ის, რომ ასეთი მდგომარეობა დიდხანს გაგრძელდება. **არ იქნება გადამეტებული იმის თქმა რომ ქვეყნის აღდგენის ბედი საფრთხეშია და რომ ევროპა ბეწვზე ჰკიდია.** ასეთ პირობებში ინგლისის მთავრობისათვის აუცილებელი შეიქნა თავისი აზრის გამორკვევა. ინგლისის მთავრობას სურს მოაგვაროს ეს საკითხი და დარწმუნებულია, რომ მას უზრუნველყოფილი ექნება საფრანგეთისა და ბელგიის თანამშრომლობა, ისე როგორც იტალიისა, რომლის აზრი სავსებით ეთანხმება ინგლისის მთავრობის პოზიციას.

გერმანიის 7 ივნისის ნოტა მოითხოვს მიუდგომელი საერთაშორისო კომისიის შედგენას გერმანიის გადახდის უნარიანობის გამოსარკვევად. გერმანია პირობას სდებდა, რომ შეასრულებს თავის ვალდებულებებს ამ კომისიის გადაწყვეტილებების მიხედვით. ამას გარდა ნოტა შეიცავდა მთელ რიგ კონკრეტიულ გარანტიებს. **ეს წინადადები განხილული უნდა იქნან, რადგან ისინი იძლევიან საკითხის მოგვარების საშუალებას.** ბრიტანეთის მთავრობამ, რომელმაც გაიგო, რომ ბელგიისა და საფრანგეთის მთავრობებს არ სურთ თავის თავზე აიღონ გერმანიისათვის პასუხის შედგენის ინიციატივა, აცნობა ამ სახელმწიფოების მთავრობებს, რომ ინგლისი მზად არის თავის თავზე აიღოს პასუხის პროექტის შედგენის პასუხისმგებლობა. ეს პროექტი დაჩქარებით წარედგინება მოკავშირეებს. ინგლისის მთავრობა დარწმუნებულია, რომ შეხედულებები, რომელსაც ის გამოხატავს ნოტაში ერთნაირად დააკმაყოფილებენ როგორც ინგლისის, ისე მოკავშირეების ინტერესებს. უთანხმოება მეთოდებში არ შეიძლება არ იქნას მოგვარებული. ინგლისი მოუწოდებს ყველა მოკავშირე სახელმწიფოებს, მიაქციონ ყურადღება ინგლისის მთავრობის წინადადებებს, რომელთა ერთად ერთი მიზანია ევროპის დამშვიდება და დაქანცული მსოფლიოს აღდგენა“.

რუსეთის ცნობის გარშემო

გარტმანის კამპანია.

ნიუ-იორკი, 11 ივლისი. გარტმანი, რომელიც ეპისკოპოს ბლეკთან ერთად მონაწილეობას იღებდა ცოცხალი ეკლესიის მოსკოვის კრილობაზე, **ამერიკაში დაბრუნების შემდეგ აწარმოებს ენერგიულ კამპანიას ანტი საბჭოთა აგიტაციის წინააღმდეგ და აბათილებს ყოველგვარ ჭორებს, რომელიც ვრცელდება საბჭოთა მთავრობის შესახებ.** გარტმანის აზრით, რუსეთში სარწმუნოების თავისუფლება ისე არ არის შეზღუდული, როგორც ამერიკაში.

სენატორი უილერი წერილობით აბათილებს ხმებს რუსეთში სარწმუნოების დევნის შესახებ და მოითხოვს საბჭოთა მთავრობის ცნობას, როგორც ყველაზე მტკიცე მთავრობისას ევროპაში.

ლოზანას კონფერენცია

ევაკუაციის გარშემო.

პარიზი. 13 ივლისი. ჰავასის სააგენტოს ლოზანადან ატყობინებენ, რომ მოკავშირეთა და ოსმალეთის დელეგატები კერძო თათბირის დროს 3 ნახევარ საათის განმავლობაში მსჯელობდნენ ზოგიერთ სადავო საკითხების შესახებ, სხვათა შორის მოკავშირეთა ფლოტის სრუტეებიდან გაყვანის შესახებ.

შემდეგ მიღებულის ცნობებით, ოსმალების შეურიგებელი პოზიციის გამო, საძლვაო ძალთა გაყვანის საკითხის განხილვის დროს, თუმცა მოკავშირეები დიდს დათმობაზე წავიდნენ, მაგრამ ბოლოს დასტოვეს სხდომა.

ევაკუაცია 6 კვირის შემდეგ დაიწყება.

ბერლინი. 13 ივლისი. სტამბოლიდან იტყობინებიან, რომ გარრინგტონმა სტამბოლიდან გამოაქვეყნა ბრძანება, რათა სტამბოლის ევაკუაცია დაიწყოს 6 კვირის შემდეგ იმის და მიუხედავად, თუ რა მსვლელობას მიიღებს საზავო ხელშეკრულების რატიფიკაცია.

ოსმალეთის გაზეთების აზრი.

ანგორა. 10 აპრილი. „ენი ტიუნ“-ი სწერს: „მშვიდობიანობა ფაქტია, სწრაფ შედეგებს მიაღწიეს ისმეტფაშის გაბედული გავლენის ქვეშ; თუმცა ყველაზე ძალიან მშვიდობიანობა ოსმალებს არ გაახარებს. ოსმალებს უფრო სხვა გარემოება ახარებს, დღევანდელი დღიდან ჩვენ ფეხი შევდგით ახალს ცხოვრებაში და ჩვენ არ ვიცით გავიხაროთ თუ ვიტიროთ“.

„ხაკიმიეთი მილიე“ აღნიშნავს რომ საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას მხოლოდ საკონცესიო საკითხები აფერხებს, რომელსაც გადასწყვეტს ისმეტ-ფაშას წერილობითი რწმუნებას, რომ კონცესიონერები უზრუნველყოფილნი იქნებიან.

სხვადასხვა ამბები

ნავთის მრეწველობა მსოფლიოში.

ნიუ-იორკი 13 ივლისი. „ამერიკის სავაჭრო პალატის მოამბე“ გამოქვეყნებულია შემდეგი ცნობები მთელ მსოფლიოში ნავთის მრეწველობის შესახებ. ამერიკის ნავთის მრეწველობის ინსტიტუტის შეფასებით, რომ 1922 წელს განმავლობაში მთელ ქვეყანაზე ამოღებულია 851,540,000 ბარილი ნავთი, 1921 წელთან შედარებით 85,475,000 ბარილით მეტი. (11,3 პრ.) შეერთებულ შტატებში 1922 წელს ამოუღიათ 551,197;000 ბარილი ანუ 64,7 პრ. მთელს მსოფლიოში ამოღებული ნავთის და 16,7 პრ. მეტი ვიდრე 1921 წელს. მექსიკამ მოგვცა 185,657,000 ბარილი ნავთი ანუ 21,7 პროც. მსოფლიო მრეწველობისა და 3,3 პროც. მეტი ვიდრე 1921 წელს. ზემოხსენებულ ცნობებში შეტანილი არ არის საბჭოთა რესპუბლიკების ამოღებული ნავთის რაოდენობა.

ბულგარეთი.

ამხ. შელეპუგინის მოკვლა.

მოსკოვი. 12 ივლისი. 6 ივლისს **პლევნაში მოკლულია რუსეთის მოქალაქეთა რეპატრიაციის საქმის საოლქო რწმუნებული შელეპუგინი. კვლევა-ძიება სწარმოებს.**

წითელ რუსეთში

რუსეთი

ამხ. რაკოვსკის დანიშვნა.

მოსკოვი 12 ივლისი. **საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ცნობით, ამხ. რაკოვსკი დაინიშნა კრასინის მაგიერ რუსეთის სოც. საბ. რესპუბლიკის სრულუფლებიან წარმომადგენლად ინგლისში და იმავე დროს სავაჭრო დელეგაციის მეთაურად ლონდონში.**

სახელმწიფო გამომცემლობა.

მოსკოვი. 12 ივლისი. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, სახელმწიფო გამომცემლობა განთავისუფლებულია ყოველგვარ სახელმწიფო გადასახადებისაგან და აგრეთვე იმ გადასახადებისაგანაც, რომელნიც ადგილობრივ საშუალებათა გასაძლიერებლად მიდის.

საჰაერო მიმოსვლა.

მოსკოვი. 12 ივლისი. მოკლე ხანში მოეწყობა საჰაერო მიმოსვლა ბუხარა-ხივას შორის. იაკუტის რესპუბლიკა აწყობს საჰაერო მიმოსვლას იაკუტსსა და ირკუტსკს შორის. წელიწადში ნავარაუდევია 220 დღის განმავლობაში ასეთი მიმოსვლა, იმუშავებს 10 საფრენი.

ტაშკენტი. 11 ივლისი. აგვისტოს პირველიდან საჰაერო მიმოსვლა დაიწყება ტაშკენტ-ალმატის შორის.

სასოფლო-მეურნეობის გამოფენა.

მოსკოვი. 12 ივლისი. სრულიად რუსეთის სასოფლო-მეურნეობის გამოფენაზე ეწყობა კულტურა-განათლების კომისია.

სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური საბჭო კისრულობს 3000 ექსკურსანტის დაბინავებას და კვებას, რომელნიც ადგილობრივ პროფესიონალურ კავშირებიდან არიან დელეგატებად გაგზავნილი.

სრულიად რუსეთის მიწა-ტყის კავშირის წევრებს მოემსახურება კავშირის ცენტრალური კომიტეტი.

ლატვიის დელეგაცია გამოფენაზე აწყობს თავის წარმომადგენლობას, რომელსაც ექნება როგორც საინფორმაციო, ისე საქმიანი ხასიათი.

მოსკოვში ჩამოვიდა იტალიის საგარეო სავაჭრო საზოგადოების დირექტორი მარინეტტი, გამოფენაზე იტალიელ ფირმათა წარმომადგენლობის და იტალიის პავილიონის მოსაწყობათ.

მესაქონლეობის უნაკლოდ გამოფენისათვის მსხვილფეხა საქონელი გამოიფინება ორ წყებად, წვრილფეხა სამ წყებად. უპირველესად გამოჰფენენ სამხრეთ ოლქებიდან ჩამოყვანილ ოთხფეხ საქონელს.

პოლონეთთან შეთანხმება მომხდარ კონფლიქტის შესახებ.

მოსკოვი. 12 ივლისი. სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ დადებული ხელშეკრულება პოლონეთთან საზღვრებზე მომხდარ კონფლიქტების შესახებ.

კომიტეტის „რუსეთისაგან ხელები შორს“ წარმომადგენელი მოსკოვში.

მოსკოვი. 12 ივლისი. მოსკოვში ჩამოვიდა „რუსეთისაგან ხელები შორს“ ინგლისის კომიტეტის მდივანი კოუტსი. კომიტეტმა, რომელიც შესდგება ინგლისის პროფმოძრაობის ცნობილ წარმომადგენელთაგან, დიდი როლი ითამაშა 1920 წელს, რადგანაც შეაკავა ინგლისის მთავრობა რუსეთ-პოლონეთის ომში აქტიურ ჩარევისაგან.

რუსეთის დეპეშათა სააგენტოს კორესპოდენტთან საუბრის დროს კომიტეტის მდივანმა კოუტსმა აღნიშნა, რომ რუსეთ-ინგლისის უკანასკნელ კონფლიქტის შემდეგ, ინგლისის ფართო მასებს არასოდეს არ უგრძვნიათ ისე მწვავეთ რუსეთთან დაახლოების აუცილებლობა. **კოუტსის აზრით, კონფლიქტის დასრულება არის კერზონის დამარცხება და ის ვერასოდეს ვერ გაბედავს ასეთ გამოხვლებს. კომიტეტი განაგრძობს მუშაობას და მოითხოვს რუსეთის დაუყოვნებლივ ცნობას, ვიდრე ბუკინ** გემის სახახლეში არ იქნება მიღებული საბჭოთა რუსეთის პირველი ელჩი.

ჩერვონცები.

მოსკოვი. 12 ივლისი. პირველი ივლისისათვის გამოშვებულია 7 მილიონი ჩერვონცი და აგრეთვე 12 მილიონი ჩერვონცის ეკვივალენტი ფულის ნიშნებით.

ლტოლვილ-რევოლიუციონერების დაბრუნება რუსეთში.

მოსკოვი. 12 ივლისი. **დასავლეთ ევროპაში რეაქციის გაძლიერების გამო, უკანასკნელ ხანებში შეჩნეულია ლტოლვილ-რევოლიუციონერების დაბრუნება რუსეთში. უკანასკნელ კვირაში ჩამოვიდა 88 ემიგრანტი. ემიგრანტთა უმრავლესობა გამოქცეულია ციხეებიდან.**

პოლიტიკური ემიგრანტები ლატვიიდან.

მოსკოვი. 12 ივლისი. ამ დღეებში მოსკოვში ჩამოვა ლატვიიდან პოლიტიკურ ემიგრანტთა მესამე პარტია, რიცხვით 22 კაცი, რომელნიც გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა გადასცვალა ლატვიის მოქალაქეებზე.

შავი ზღვის ნავთსადგურების დათვალიერება.

ოდესა. 12 ივლისი. კომისიამ, რომელსაც დავალებული ჰქონდა შავი ზღვის ნავთსადგურების დათვალიერება ნიკოლაევი და ხერსონი სავსებით მომზადებულათ აღიარა საექსპორტო ამოცანებისათვის. შავი ზღვის ტრანსპორტის სახელოსნოებმა 6 თვის განმავლობაში შეაკეთეს 20 მეტი გემი. ორი წლის განმავლობაში კერჩის ნავთსადგურის სახელოსნოებმა გამოუშვეს კაპიტალურ და საშუალო რემონტიდან 144 სხვა და სხვა გემი.

ამერიკელი მუშები რუსეთში.

ნიუ-იორკი. 11 ივლისი. სან ფრანცისკოდან გამოვიდნენ კუზნეცკის რაიონში 20 მუშა ტეხნიკოსები, რომელთა შორის არის ვილიამ რუდვასი, ყოფილი მეხანიკი **ჯავშნოსან** „პოტიომკინზე“.

რუსეთის ხელოვნების გასაცნობათ.

მოსკოვი. 11 ივლისი. უცხოეთისათვის რუსეთის ხელოვნების **გასაცნობათ სახალხო კომისართა საბჭომ** პეტროგრადის სახელმწიფო აკადემიურ თეატრებს საზღვარ-გარეთ გამგზავრების ნება დართო.

ახალი ჰაეროსტატი.

მოსკოვი. 11 ივლისი. ინჟინერ ანდერსმა შეიმუშავა დიდი ჰაეროსტატის პროექტი. ახალი ჰაეროსტატი ასწევს 40 კაცზე მეტს. ჰაეროსტატების ასაშენებლათ დაარსდა სააქციონერო საზოგადოება.

პოლიტიკურ ემიგრანტების დამხმარე საზოგადოებაში.

მოსკოვი. 11 ივლისი. პოლიტიკურ ემიგრანტების ურთიერთ შორის დამხმარე საზოგადოება ხსნის თავის განყოფილებებს საბჭოთა რესპუბლიკების მნიშვნელოვან ცენტრებში.

ახალგაზრდობის კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმი.

მოსკოვი. 11 ივლისი. **13 ივლისს იხსნება ახალგაზრდობის კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმი. ჩამოვიდნენ სხვა და სხვა ქვეყნის დელეგატები. პლენუმი შეუდგა ბრძოლის მეთოდების შემუშავებას ომისა და ფაშიზმის საშიშროების წინააღმდეგ, აგრეთვე გამოარკვევს კომუნისტურ ახალგაზრდობის პოლიტიკურ ამოცანებს. პლენუმი მოისმენს ბულგარეთის, ინგლისის და იტალიის კომკავშირების მოხსენებებს.**

ბელორუსია.

მინსკის განთავისუფლების წლის თავი.

მინსკი. 11 ივლისი. ბელორუსიის სატახტო ქალაქის მინსკის მოკავშირეთა საოკუპაციო ჯარებიდან განთავისუფლების 3 წლის შესრულების თავზე, საკავშირო აღმასკომმა გამოაცხადა ამნისტია, რომელიც ვრცელდება 1918-20 წლებში ბოლშევიკე-

ზის წინააღმდეგ ბრძოლაში ბელორუსიის ნაციონალურ ჯარებში მონაწილეებზე, ბელორუსიის პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებზე, რომლებმაც საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაზე ხელი აიღეს, აგრეთვე ბელორუსიის ესერების პარტიის წევრებზე, რომლებმაც აღიარეს თავისი ლოიალური დამოკიდებულება საბჭოთა ძალაუფლებისადმი და ბელორუსიის ყველა გლეხებზე, რომლებიც შეუგნებლობის გამო მონაწილეობას იღებდნენ ბანდიტურ გამოსვლებში.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

გაფიცვები ესპანეთში.

პარიზი. 11. ივლისი. მადრიდიდან იუწყებიან, რომ სინდიკატთა გენერალურმა კონფედერაციამ გადასწყვიტა გამოსცეს ბრძანება ბარსელონაში, სევილში, ვალენციაში და სარაგოსში სინდიკატების საერთო გაფიცვის შესახებ. კომუნისტები ხელს შეუწყობენ ამ მოძრაობას. მდგომარეობა ბარსელონაში რთულდება. მთავრობა ძალიან შეშინებულია. ბარსელონას გაფიცულებს უერთდებიან პურის მცხობელებიც.

მელითონეთა გაფიცვა გერმანიაში.

ბერლინი. 11 ივლისი. მიუხედავათ იმისა, რომ ბერლინის მელითონეთა ზომიერმა ლიდერებმა მიიღეს გერმანიის მთავრობის წინადადება მოლაპარაკების დაწყების შესახებ, საგაფიცვო მოძრაობა მაინც იზრდება კომუნისტურ პარტიის მეთაურობით. მოთხოვნილებას ხელფასის სისტემის შეცვლის შესახებ თავგამოდებით იცავენ.

გერმანელი მუშები საფრანგეთში.

ბერლინი. 11 ივლისი. გერმანიის მუშებმა, რომელნიც მუშაობდენ პერონის რაიონში ომისაგან დანგრეულ ადგილების აღსადგენად, შესწყვიტეს მუშაობა და რამდენიმე დღის შემდეგ დაბრუნდებიან გერმანიაში. ხელფასის ნაკლულოვანების და ცუდი მოპყრობის გამო.

„სიწყნარე“.

პარიზი. 10 ივლისი. მადრიდში შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ბარსელონაში სრული სიწყნარე სუფევს.

ეს „სიწყნარე“ ასეთია:

„ავტოხესების გაფიცვა გრძელდება. დაატუსაღეს ათამდი კაცი, რომლებიც ხელს უშლიდენ მუშაობის განახლებას. კაფე-რესტორანების მოსამსახურეთა გაფიცვა გრძელდება“.

ნავთსადგურის მუშების გაფიცვა.

ლონდონი. 10 ივლისი. ნავთსადგურის მუშების გაფიცვა გრძელდება. ნავთსადგურის მუშების ნაციონალურმა კომიტეტმა ხელახლა მიმართა მოწოდებით გაფიცულ მუშებს განაახლონ მუშაობა. **ნავთსადგურის მუშები სასტიკათ ილაშქრებენ ტრედ-უნიონების ლიდერების წინააღმდეგ და თავის ხელმძღვანელებათ ირჩევენ კომუნისტებს.** ლივერპულში გაფიცულ მუშათა ნაწილი დაუბრუნდა მუშაობას. კარდიფის მუშებმა განაცხადეს, რომ ისინი განაგრძობენ გაფიცვას მანამ, სანამ მეწარმოებლები არ დაეთანხმებიან საინდიქსო ფასების გამოანგარიშების წესის ხელახლა განხილვაზე. კავშირების ოფიციალური ლიდერები უარყოფით უყურებენ გაფიცვებს. საგაფიცვო ცენტრალური კომიტეტი გამოქვეყნებულ მანიფესტში აცხადებს, რომ გაფიცვებმა, რომლებსაც ლიდერები უარყოფით უყურებენ, მიიღეს არაჩვეულებრივი ხასიათი. ნავთსადგურის მუშების წლიურ კონგრესზე ლონდონში კავშირის მდივანმა გამოაქვეყნა რეზოლიუცია, რომლითაც მუშებს წინადადება ეძლევათ დაუბრუნდენ მუშაობას. ლონდონის დელეგატების შესწორება გაფიცულთა მხარის დაჭერის შესახებ უარყოფილი იქნა 136 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 18 ხმისა.

მუშათა მოძრაობის გაძლიერება.

მოსკოვი. 10 ივლისი. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს ამხ. ლოზოვსკიმ აღნიშნა, რომ თითქმის **ყველა ქვეყნებში მუშათა მოძრაობა თანდათანობით ძლიერდება.** მოლოდინის ხანა ქრება. **ბევრ ადგილებში მუშები გადადიან შეტევაზე.** ეხლანდელ მასიურ ეკონომიურ კონფლიქტების დამახასიათებელია სახელმწიფო აპარატის მხრივ მუშების შევიწროება, მუშათა მოთხოვნილებათა საბოტაჟი პროფმოძრაობის რეფორმისტულ ლიდერების მხრივ და თანდათანობითი გაძლიერება იმ ორგანიზაციების, რომელნიც ემხრობიან კომინტერნს და პროფინტერნს. ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ კომინტერნი და პროფინტერნი ამ შეჯახებებიდან გამოვა უფრო გამაგრებული.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო.

აფხაზეთი.

შტატების შემცირება.

სოხუმი. 12 ივლისი. საგარეო ვაჭრობის კომისარიატის ახალი რწმუნებულის მიერ შტატების გონივრული შემოკლების წყალობით, შესყიდველ განყოფილებისა და სამდივნოს შტატი საგრძნობათ შემცირებულ იქნა.

მოლაპარაკება ინგლის-რუსეთის ამხანაგობასთან.

სოხუმი. 12 ივლისი. აფხაზეთის საგარეო ვაჭრობის კომისარიატი მოლაპარაკებას აწარმოებს ინგლის-რუსეთის ამხანაგობასთან 100,000 ფუთი თამბაქოს და 800,000 ფუთი სიმინდის გატანის შესახებ.

პარტიული ცხოვრება

გურია.

ნაგომრის უჯრედის ერთ-ერთ მორიგ კრებაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა ამხ. ქილიფთარია, დაესწრო ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორი ამხ. ტრაპაიძე, კრებაზე პირველად რაიპარტკომის მდივანმა ამხ. მ. ქართუნარიამ გააკეთა მოხსენება თემკომებისა და რაიკომის მუშაობის შესახებ და აღნიშნა ამ მუშაობის ზოგიერთი სუსტი მხარეები, დაასახელა ამის გამომწვევი მიზეზი.

საერთო პარტიული მუშაობა დამაკმაყოფილებელია, ხალხის მოთხოვნის თანახმად და დიდი ენტუზიაზმით იქნა ჩატარებული ანტირელიგიური კამპანია და ეკლესიები გადაკეთებულ იქნა კლუბებათ და სახალხო სახლებათ. რაიონში ყველა ეკლესიები გაუქმებულია, რასაც მოყვა მღვდლების თავის ნებით გაკრეჭა; ამან დიდათ იმოქმედა ხალხის ფსიხოლოგიის გარდასაქმნელად და სარწმუნოებრივ ბურუსიდან გასანთავისუფლებლად.

ამხ. შეეხო აგრეთვე სახალხო სამკითხველოების უმწეო მდგომარეობას და აღნიშნა, რომ დღეს უკვე მიღებულია ზომები წიგნების მოსაგროვებლად შემოწირულების სახით. სამკითხველოებს დაკვეთილი აქვთ გაზეთები და ჟურნალები. შეეხო აგრეთვე მიწის საკითხის რევოლიუციონური გზით გადაჭრას და ტყეების დაცვას:

შემდეგ მოხსენება გააკეთა ადგილობრივ საბჭოთა აფთიაქის გამგემ ამხ. კ. ლომთათიძემ: რაიონში არის სამი საფერშლო პუნქტი, მალარია ძლიერ გავრცელებულია, რაიონში საბჭოთა აფთიაქი ურიგებს წამლებს უფასოთ მუშა-მოსამსახურეებს.

ამხ. ტრაპაიძის მოთხოვნით მოყვანილ იქნა სტატისტიკური ცნობები რაიონში წერა-კითხვის უცოდინართა შესახებ, რომელთა რიცხვი შეადგენს 25 პროც.

ადგილობრივი ხასიათის საკითხების განხილვის შემდეგ ამხ. ტრაპაიძემ გააკეთა მოხსენება საბჭოთა მთავრობის კომუნისტურ პარტიის მოქმედების შესახებ, რომელიც კრების მიერ დიდი ყურადღებით იქნა მოსმენილი და მიიღო სათანადო რეზოლიუცია.

დ.

უცხოეთის ცხოვრება

როგორ მუშაობენ ინგლისელი სოციალ-შეთანხმებლები

ამ რამდენიმე დღის წინათ დასრულდა ინგლისის მუშათა პარტიის კონფერენცია. ეს კონფერენცია საუკეთესო დამამტკიცებელია იმის, რომ სოციალ-შეთანხმებლებს არ ძალუძთ გადასჭრან მუშათა კლასის რევოლიუციონურ ბრძოლასთან დაკავშირებული არც ერთი სერიოზული საკითხი. —კონფერენციამ მიაფუჩეჩა ყველა მნიშვნელოვანი საკითხები,—აგრარული, ნახშირის მაღაროების ნაციონალიზაციის და სხვა მრავალი,—რომლებიც პარტიის მემარცხენე ელემენტებმა წამოაყენეს.

მუშათა პარტიას იმედი აქვს, რომ შექმნილ პირობებში შესაძლოა ძალაუფლება მის ხელში გადავიდეს. მაგრამ პარტიის ყვითელ ლიდერებს სურთ, რომ ეს მოხდეს „უმტკივნეულოდ“, პარლამენტარული გზით. ამისათვის კი საჭიროა მომავალ არჩევნებზე უმრავლესობის მიღება. უმრავლესობას კი მუშათა პარტია ვერ მიიღებს თუ მას ხმები არ მისცა წვრილმა ბურჟუაზიამ. ამიტომ მუშათა პარტია ცდილობს მოიგოს წვრილი ბურჟუაზიის გული და არ დააფრთხოს ის რადიკალური მოთხოვნილებების წამოყენებით.

მუშათა პარტიის ლიდერებს შეეშინდათ კომუნისტების კონფერენციაზე დაშვების და ისინი გამორიცხეს პარტიიდან იმ მოსაზრებით, რომ კომუნისტები არ სცნობენ მუშათა პარტიის კონსტიტუციას. მათ მოინდომეს იმ თითო-ოროლა კომუნისტების გამორიცხვაც, რომლებმაც მაინც მოახერხეს კონფერენციაზე დასწრება, მაგრამ კონფერენციამ სასტიკად გაილაშქრა ამის წინააღმდეგ. მიუხედავათ იმისა, რომ კონფერენციაზე არ იყვნენ კომუნისტები, ოპოზიცია იქ საკმაოთ ძლიერი იყო. მაგალითად ერთი საკითხის (სამხედრო კრედიტების) განხილვის დროს ოპოზიციამ შეკრიბა ხმების ერთი მეოთხედი.

ეს დიდი მიღწევაა.

კომუნისტები რომ ყრილობაზე ყოფილიყვნენ, სურათი ხომ სრულიად სხვა იქნებოდა.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში

(13 ივლისი).

ჩერვონცები — — —	16,200
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	14,500
ჩეკები —	12,450
დოლარი ეფექტ. — —	3,200
ჩეკები —	2,950
ოსმალური ქაღ. ლირა --	2,270
იტალიური ლირა — —	100
ფრანგული ფრანკი ეფექტ.	165

თბილისის ბაზრის ფასები.

(13 ივლისი)

პური თეთრი—80-100 ათ. ყუბანის ფქვილი—100 ათ., ერბო 800 ათ. კარაქი—650—800, სამარხვო ზეთი—220. აგდაშის ბრინჯი—130., საპონი როსტოვის—350, მარმარილოსი—300, ნატეხი შაქარი—725, ფხვნილი შაქარი—550., კარტოფილი—40, ხორცი ძროხის 350-400, ცხვრის—450 ათ., კომბოსტო—50.

მუშკოპის ფასები.

(12 ივლისი).

პური 2 ხარ.—45, თეთრი ფქვილი—80 ათასი, აგდაშის ბრინჯი—120, კარაქი—960, ერბო—680, მწვანე ლობიო—60, კართოფილი—40, კომბოსტო—60, ვერმიშელი—400 ათ., ნატეხი შაქარი—700 ათ., ფხვნილი შაქარი—380 ათ.

ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდება.

(13 ივლისს)

რკინის ნაწარმოები, ყუბანის ფქვილი უმაღლეს, 1, 2 და 3 ხარ. ქატო, მაკარონი და ვერმიშელი 1 ხარ., რკინეულობა, ბარები, ფიწალი, ერბო, შვეიცარული ყველი, ცეილონის ჩაი, მარილის სინდიკატის პროდუქცია, ცემენტი და ეტერნიტი ნოვოროს., სრულიად რუსეთის ტყავის სინდიკატის პროდუქცია, რეზინის ტრესტის რეზინის ნაწარმოებები, ს. მ. უ. ს. საფეიქრო, საპნისა და ზეთის ტრესტის პროდუქცია, რუსეთის ქაღალდის ფართლეულობა, სალამასი, რუსეთის ასანთი, საპნის სუროგატი, საალმშენებლო ლურსმნები, თოკი, საბეჭდავი ქაღალდი 16—24, ამერიკული ფეხსაცმელები, ქიმიური ნახშირის პროდუქცია, ინგლისური შაბიამანი, ფანჯრის მინები რუსეთის. ბემის მინები, მამაკაცების ფეხსაცმელები შევროსი და ხრომის.

ბირჟის საქონლის განყოფილების მოთხოვნილება.

(13 ივლისს).

უმაღლესი და 1 ხარ. ფქვილი, ცემენტი, ნარმა, სახურავის რკინეულობა, ულტრამარინი, კაუსტიური სოდა, ინგლისური თეთრი თუნუქი, საპნის სუროგატი, ინგლისური შაბიამანი, სკიპიდარი თეთრი და ტეხნიკური, ავსტრიული სამუშაო ფეხსაცმელები, ძნის შესაკრავი თოკი, ნახიჩევანისა და ბახმუტის ქვა მარილი, საალმშენებლო ლურსმნები, ღვედები, სალამასი, ფანჯრის მინები რუსეთის, ნედლი ტყავები, ტომრები, შვეიცარული ყველი, ცეილონის ჩაი, სარდინკები, მაკარონი და ვერმიშელი 1 ხარ.

ტფილისის საქონლის ბაზრის განწყობილება.

(13 ივლისს).

ხორბლეულობისა და პურის პროდუქტების ბაზარზე რყევაშია მსხვილი-საბითუმო ფასები უმაღლეს და პირველ ხარისხის ფქვილზე; წინანდებულათ მტკიცეთაა ქერი და ყუბანის ხორბალი, შაქრის ბაზარზე ფასები აწეულია, ფართლეულობის ბაზარზე განწყობილება გაცხოველებულია, ქიმიურ საქონლების ბაზარზე განწყობილება მტკიცეა, ნედლი მასალის ბაზარზე გაცხოველებულია და მტკიცეთაა მატყლი, რკინეულობისა და საალმშენებლო მასალების ბაზარზე მტკიცეა ცემენტი, საალმშენებლო ლურსმნები და სახურავის რკინეულობა.

ბაქოს ბაზრობის დახურვა.

5 ივლისამდე ბაქოს ბაზრობაზე სულ მოსულა გასასყიდად რკინის გზითა და ზღვით 1,021, 365 ფუთი საქონელი, მათ შორის ბრინჯი—139, 818 ფ., ფქვილი 109, 499 ფ. ფხვნილი შაქარი 107,015 ფ. ხე-ტყე—112,464 ფ. და სხვ.

იმავე დროს ბაზრობაზე იყო საქონელი, რომელიც გასასყიდად არ იყო დანიშნული სულ 73,324 ფუთი. სულ 5 ივლისამდე ბაზრობაზე მოსულა ადგილობრივ საქონლიანად (450,000 ფ.,) 1,471,165 ფუთი.

5 ივლისამდე ბაზრობაზე გაყიდულა სულ 27058,8 ჩერვონეცად ღირებული საქონელი. ამათგან სახელმწიფო დაწესებულებებისა—15709,1 ჩერვონეცისა ხოლო კერძო პირთა და ფირმებისა—11354,7 ჩერვ. სახელმწიფო დაწესებულებებს უყიდნიათ 9782 ჩერვ. საქონელი, კოოპერატივებს—8076.8 ჩერვ. სახელმწიფო დაწესებულებებს 5 ივლისამდე სულ გაუყიდნიათ 262.387,5 ჩერვონცის საქონელი, კოოპერატივებს—55023 ჩერვ. კერძო ფირმებსა და პირთ.—81917.6 ჩერ. უყიდნიათ სახელმწიფო დაწესებულებებს 1,30019,5 ჩერვონეცისა, კოოპერატივებს 79693,5 ჩერვ. კერძო პირთა და ფირმებს—189615,2 ჩერვ. ამგვარად ბაზრობაზე მთელი ყიდვა-გაყიდვა უდრიდა 399,328,2 ჩერვონეცს.

საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატში

ამიერ-კავკასიის სოც. საბ. ფედ. რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კომისიამ განიხილა მოხსენება ბათომისა და სხვა საბაჟოებში დაგროვილ საქონლის შესახებ, რომლებიც დანიშნულ ვადაზე უკან არ გაუტანიათ და დაადგინა:

საგანგებოდ დანიშნულ კომისიებს დაევალოს დაუყოვნებლივ შეუდგენ ხსენებული საქონლის რაოდენობის გამორკვევას, რომელიც კი საზღვარგარეთიდან არის შემოტანილი და ბაზარზე კი არ გამოსულა, რადგან გამოვიდა კანონი ასეთი საქონლის შემოზიდვის აკრძალვის შესახებ. კომისიებმა უნდა გამოიკვლიონ აგრეთვე იმ გადასახადების რაოდენობა, რასაც სახელმწიფო ორგანოები ედავებიან ამ საქონლის პატრონებს. ხსენებული საქონლის პატრონებს ორი კვირის ვადა მიეცემათ ამ საქონლის საზღვარ-გარეთ უკანვე გასატანად, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს საქონელი გადაეცემა სახელმწიფო ორგანოებს და დაწესებულებათ იმ ვალდებულობით, რომ აუცილებლად გაისტუმრონ ამ საქონელზე აღრიცხული გადასახადები.

ქვანახშირის გაზიდვა.

საგარეო ვაჭრობის კომისარიატის კომისიამ დაამტკიცა სალიცენზიო ბიუროს დადგენილება, რომლის ძალითაც საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სატბობ განყოფილებას ნება ეძლევა საზღვარგარედ გაიტანოს 1 მილიონი ფუთი ქვანახშირი.

ქერის გაზიდვა.

საგარეო ვაჭრობის კომისარიატის კომისიამ დაამტკიცა სალიცენზიო ბიუროს დადგენილება, რომლის ძალითაც ცეკავშირს უფლება ეძლევა ოსმალეთში გაიტანოს ახალციხის მაზრიდან 8000 ფუთი ქერი.



ამხ. ხუტულაშვილი

განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილების უფროსი

„ჩ ო ნ“-ს.

ქვეყნიურ ავ ზღვას, აბობოქრებულს
შენ აუსხლიტე მგზნებარე ზვირთი;—
მიდამოს მშრომელთ, განაწამს, ვნებულს
გაუსუმბუქე ცხოვრების ტვირთი.

ჯერ კიდევ, სისხლში სცურავდა არე,—
სუფევდა ირგვლივ კვნესა და გლოვა,
შენ ძლევის ხმებით გარ შემოზარე,—
აატიალე შავ-ძალთა ხროვა.

ოჰ, მოგონება პარიზის მწარე...—
ნათელი ხსოვნა... კომუნარები...
შენ უდრეკ ნებით გადაიბარე,—
გადაიარე ეკალ-ნარები.

მით გენერალურ ბრძოლას მოელი;
ნაღარა გრდემლის ისმის და ისმის...—
დაჰკრავს წამი და ქვეყნად ყოველი
შვებას იხილავს, მზე-კომუნიზმის...

და, ჰა, ვზეიმობთ! ავ-სულთა კრულვამ
ვერ, ვერ შებღალა სპეტაკი რწმენა;—
შენს მეხურ ქანის ელვისებრ ქროლას
ასე ადვილად ვერ იტყვის ენა.

...ჯერ—კიდევ, სისხლში სცურავდა არე,—
სუფევდა ირგვლივ კვნესა და გლოვა,
შენ ძლევის ხმებით გარს შემოზარე,—
აატიალე შავ-ძალთა ხროვა...

ანაზარდი.

ს. მ. უ. ს. ტყეების სამართველოში.

(მუშაობის მიმოხილვა ივნისის განმავლობაში).

ივნისის განმავლობაში სატყეო ტრესტი აერთიანებდა 23 წარმოებას; ამათში შედიან თბილისის წარმოებები—2, პროვინციის—15 (აქედან 7 სატყეო მასალის დამამზადებელი რაიონი). იჯარით გაცემული—1 და უმოქმედო—5. ივნისის მუშაობის მიმოხილვა ეხება მხოლოდ თბილისის 2 წარმოებას, პროვინციალური წარმოებების მუშაობის ანგარიში შედგენილია მაისის თვისათვის (4 ხეტყის მხერხავი ქარხნისა და 2 სატყეო მასალის დამამზადებელ რაიონის გამოკლებით, რადგან აქედან ანგარიში ჯერ მიღებული არ არის).

ივნისის განმავლობაში თბილისის 2 წარმოებასა და ცენტრალურ გამგეობაში მუშები და მოსამსახურეები შეადგენენ სულ 138 კაცს. თბილისის გაერთიანებულ წარმოებებზე (გრეხილი ავეჯეულობის ქარხანა და ხის დამმუშავებელი სახელოსნო) 65 მწარმოებელ მუშის საშუალებით 26 სამუშაო დღეში, ივნისის განმავლობაში გადამუშავებული იყო ნედლი მასალა—ხე-ტყის მასალა 1721 კვ. ვერშ. 1703 მ. 79 კ. (ჩერვონცებში) თანხისა, წინა თვის 1958 კვ. ვერშ. წინააღმდეგ. დამზადებულია ბაზარზე გამოსაშვებათ: სადურგლო მსხვილი ავეჯეულობა — 16, საშუალო — 30. გრეხილი ავეჯეულობა: საწოლები—1, სავარძელი—26, სკამები—145, ტაბურეტკები—39. სულ 257 საგანი.

ყოფილ მენშევიკის წერილი

I.

უკანასკნელ ხანებში ჩვენ ვამჩნევთ სოციალ-დემოკრატიულ (მენშევიკურ) პარტიიდან წევრების მასიურ გასვლას. გადიან პარტიის როგორც უბრალო, ისე უძველესი წევრები, რომელთაც აქვთ მრავალი წლების სტაჟი.

ჩვენ ვიცით, რომ დატოვება პარტიის, რომელშიაც ათეული წლების განმავლობაში უმუშავია ადამიანს, ადვილი საქმე არ არის. და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ავხსნათ ეს რეპრესიებით, ძალდატანებით და სხვა. ცხადია, ჩვენ აქ საქმე გვაქვს ღრმა გარდატეხასთან.

მეფის რეჟიმის დროსაც, როდესაც ჩვენ რევოლიუციონური მოღვაწეობისათვის კატორღით და სახრჩობელათი გვიმასპინძლდებოდენ, ხომ მტკიცეთ ვეზიდებოდით ჩვენ ჯვარს და არავითარ რეპრესიებს არ შეეძლო ჩვენი რევოლიუციონურ რიგებიდან გამოდევნა. მართალია, იყვენ მხდალი, სუსტსულოვანი პირებიც, მაგრამ ასეთები ძალიან ცოტანი მოიპოვებოდენ.

პირიქით, ყველა ასეთი ტანჯვა-წამება გვაკაჟებდა ჩვენ და ვიყავით გამსჭვალული ერთი აზრით:

განვვითარებულიყავით და ხელ ახლა მოგვეკიდა ხელი ჩვენი საყვარელი საქმისათვის.

ვინაიდან მაშინ გვწამდა ჩვენი გამარჯვება, ვინაიდან დარწმუნებული ვიყავით ჩვენი საქმის სიმართლეში.

და აი, თუ დღეს ასეული და ათასეული მუშები და ინტელიგენტები სტოვებენ თავის პარტიას, მათი უმრავლესობა, ყოველ შემთხვევაში 99 პროც., უეჭველია დარწმუნდა თავის შეცდომაში, იმ პოზიციის სიყალბეში, რომელიც უკავია მის ყოფილ პარტიას და იმ პრინციპებიდან გადახვეხვაში, რომლებსაც უნდა იცავდენ სოციალისტურ პარტიის წევრები.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიიდან წევრების მასიურ გასვლას აქვს ღრმა მიზეზები, რომლის წაშლა ყოვლად შეუძლებელია. უნდა გამოირკვეს ეს მიზეზები, უნდა გაუკეთოთ ამ მიზეზებს ღრმა ანალიზი და ვიპოვოთ გამოსავალი შექმნილ მდგომარეობიდან.

II

თებერვლის რევოლიუციის წინ, „თანამედროვე მსოფლიოს“ დეკემბრის წიგნაკში, 1916 წელს დაიბეჭდა გ. პლეხანოვის წერილი „ორი ხაზი“ *)

აღნიშნულ წერილის მთავარი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ სახალხო რევოლიუცია ორი გზით მიმდინარეობს აღმავალი და დაღმავალი გზით. პირველ შემთხვევაში, როგორც საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროს, ძალაუფლება თანდათან გადადის უფრო ზომიერებიდან უფრო უკიდურეს პარტიების ხელში; მეორეში, როგორც 1848 წლის რევოლიუციის დროს,—რევოლიუცია მიდის კუს ნაბიჯით და ძალა-უფლება, რომელიც გადატრიალების შემდეგ ხელში ჩაიგდეს უკიდურესმა პარტიებმა, თანდათან ხელში უვარდება უფრო ზომიერ პარტიებს.

პლეხანოვს იქვე მოჰყავს მარქსის სიტყვები:

„განმანთავისუფლებელ მოძრაობის ძლიერება იზრდება, როდესაც ეს მოძრაობა მიმდინარეობს, როგორც ამას ადგილი ჰქონდა საფრანგეთში 18 საუკუნის დასასრულში, აღმავალი ხაზით. იგი სუსტდება მაშინ, როდესაც მოძრაობის ხაზი დაღმავალი ხდება“.

„მაშასადამე,—ამბობს პლეხანოვი,—არ შეიძლება არ ვისურვოთ, რათა განმანთავისუფლებელი მოძრაობა წავიდეს აღმავალი ხაზითო“.

„როგორ შეუძლიაო,—იმეორებს პლეხანოვი, რუსეთის საზოგადოებრივ მოღვაწეს, რომელიც საღი გონებით აზროვნებს და რომელსაც მტკიცე მეხსიერება აქვს, ისურვოს, რომ რუსეთის საზოგადოებრივი განვითარება წავიდეს დაღმავალი ხაზითო“.

ამგვარად, რევოლიუციამდე, 1917 წლამდე, პლეხანოვს არა თუ არ აშინებდა რევოლიუციის განვითარება ამა თუ იმ ისტორიულ პირობებში შესაძლებელ ფარგლებამდე, არამედ რევოლიუციონურ ბრძოლის საბოლოო მიზნად მიაჩნდა ძალაუფლების გადასვლა „უკიდურეს ჯგუფების“ ხელში.

მას მხოლოდ ერთი რამ აშინებდა: ძალაუფლების გადასვლა უკიდურესების ხელში არ მოეხდარიყო ნაადრევად და უკიდურესი პარტიები გარიყული არ დარჩენილიყვენ.

ეხლა ვნახოთ: მიდიოდა თუ არა რუსეთის რევოლიუცია აღმავალი ხაზით?

მიდიოდა. იგი მიდიოდა კ. მარქსის მიერ გათვალისწინებულ გზით.

და ისტორიამ უკვე გაამართლა ის გზა, რომლითაც მიდიოდა რუსეთის რევოლიუცია. იგი არ ყოფილა ნაადრევი. და გადაჭრით უნდა ვსთქვათ: რომ არ ყოფილიყო ოქტომბერი რუსეთის რევოლიუციაში, იგი უსათუოთ დაღმავალი მიმართულებით წავიდოდა მაშასადამე დამარცხდებოდა. კერენსკის მთავრობას არ შეეძლო გაეძლო კონტრ-რევოლიუციონურ ტალღების იერიშებისათვის. ეს უნდა ვაღიაროთ.

ოქტომბერმა გადაარჩინა რუსეთის რევოლიუცია და ამაშია მისი დამსახურება ისტორიის წინაშე.

და ყოველი ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ არის დღეს რეგრესი, ცდა მიმართონ რევოლიუცია დაღმავალი ხაზისაკენ, რაც უდრის რევოლიუციის დამარცხებას.

რომელი პარტიაც არ უნდა გამოვიდეს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის ასპარეზზე, მას უსათუოთ მიეტმასნებიან ყველა ჯურის კონტრ-რევოლიუციონური ელემენტები და ასეთ პირობებში ყოველი პარტია დაჰკარგავს თავის სახეს.

1917 წელს, კერენსკის და კრასნოვის პეტროგრადზე შემოტევის მარცხათ დამთავრების შემდეგ, ერთმა ახალგაზრდამ, რომელიც მონაწილეობას იღებდა ამ შეტევაში პეტროგრადის გარნიზონის სანიტარულ რაზმის თანამშრომელის სახით, მოახერხა „ცარსკოე სელოში“ ჩასვლა, სადაც ამ დროს პლეხანოვი სცხოვრობდა, უამბო მას ფრონტზე მომხდარ ამბების შესახებ და შეეკითხა: „რა უნდა ვქნათო?

პლეხანოვმა უპასუხა მას, რომ ყოველი ნაძალადევი ბრძოლა ახალი ძალაუფლების წინააღმდეგ, დამარცხებით დასრულდება, რამდენადაც საბჭოთა ძალა-უფლება არის განმტკიცებულ რევოლიუციონურ სტიქიის ძალთა განვითარების გამოხატულება და ყოველი ცდა მიმართული საბჭოთა ხელის-უფლების დამხობისაკენ დააკავშირებს მის დემოკრატიულ მოწინააღმდეგეთ ძველი საზოგადოების სასიკვდილოთ განმზადილ ელემენტებთან და ამიტომ აუცილებელი მარცხით უნდა დასრულდესო“.

ამას ამბობდა ის ადამიანი, რომელიც იყო მოწინააღმდეგე კომუნისტური ხელის-უფლების, პარტიის და სთვლიდა მას ნაადრევად რუსეთის რევოლიუციისათვის.

პლეხანოვის წინასწარმეტყველება გამართლდა. საბჭოთა ხელის-უფლების დემოკრატიულ მოწინააღმდეგეთა ბანაკში ჩვენ უკვე ვხედავთ სასიკვდილოთ განმზადილ „ძველი საზოგადოების ელემენტებს“.

და თუ ამ კოალიციამ, რომელიც იბრძვის საბჭოთა ხელის-უფლების წინააღმდეგ, მოახერხა საბჭოთა ხელის-უფლების ჩამოგდება, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ხელის-უფლების სათავეში მოექცევა რეაქცია, რომელიც მიწასთან გაასწორებს რევოლიუციის ყველა მონაპოვარს და მასთან ერთად ყველა იმ რევოლიუციონურ-დემოკრატიულ ძალებსაც, რომელთა შორისაც დღეს ვხედავთ კონტაქტს საბჭოების წინააღმდეგ.

ამიტომ საბჭოთა ხელის-უფლების წინააღმდეგ ბრძოლა დღეს არის რეაქციონული ნაბიჯი და აბსოლიუტურად მიუღებელი პროლეტარიატის ინტერესების მიხედვით.

სოციალიზმის და რევოლიუციის ინტერესები მოითხოვენ არა ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, არამედ თანამშრომლობას მასთან პროლეტარიატის იდეალების გამარჯვების მიზნით.

III.

რუსეთის რევოლიუციას, რომელიც შედეგათ მოჰყვა მძიმე იმპერიალისტურ ომს, გაღატაკებას და სიმშილობას, არ შეეძლო გაჩერებულიყო ზომიერ პარტიების მართვა-გამგეობის რომელიმე ფორმაზე. იგი უნდა წასულიყო ან აღმავალი ან დაღმავალი გზით.

და ჩვენ ვხედავთ ამ ჭიდილს. ორი ძალა შეეჯახა ერთმანერთს რუსეთის რევოლიუციაში: ბურჟუაზია, რომელიც სცდილობდა კონსტიტუციონურ მონარქიის დამყარებას, და პროლეტარიატი.

ყველა საშუალო ძალები და ჯგუფები უნდა გათქვეფილიყვნენ ამ ორ მთავარ ძალას შორის.

და იმდენად, რამდენადაც ეს საშუალო ჯგუფები, სოციალისტური ჯგუფებიც კი, გამოდიოდენ საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლის პროლეტარიატის წინააღმდეგ, ისინი მხარს უჭერდენ კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიას.

ამას ნათლად ვხედავთ სამოქალაქო ომის მაგალითებიდან.

ინტერნაციონალის პარიზის კონგრესზე 1889 წელს პლეხანოვმა სთქვა: „რუსეთის რევოლიუციონური მოძრაობა გაიმარჯვებს როგორც მუშათა მოძრაობა, ან სულ ვერ გაიმარჯვებსო“.

ეს აზრი, რომელიც პირველად გამოსთქვა პლეხანოვმა, განხორციელდა. ეხლა, რევოლიუციის მე7-ე წლის დასაწყისში, ეს თამამად შეგვიძლია ვსთქვათ.

რუსეთის მენშევიზმის შეცდომა მდგომარეობდა იმაში, რომ მან ვერ შესძლო საკმაოდ გარკვევა შექმნილ რევოლიუციონურ პირობებში.

პრინციპიალურად ვსთვლიდით რა აუცილებლად პროლეტარიატის დიქტატურას, ოქტომბრის დღეებში, ჩვენ ვფიქრობდით, რომ პროლეტარიატი ვერ შესძლებს ხელისუფლების შენარჩუნებას, რომ ის არ არის მომზადებული ამისათვის, რომ პროლეტარიატის დიქტატურა ნაადრევია და რევოლიუცია დაიღუპებაო. ამიტომ ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნდა მაშინ კოალიცია სხვა კლასებთან, თანამშრომლობა კადეტებთან და კიდევ უფრო მემარჯვენე პარტიებთან და სრულიადაც არ ვგრძნობდით იმას, რომ ისინი გალესილი მახვილით მიდიოდენ პროლეტარიატთან და მზად იყვენ პირველ შეძლებისთანავე ძირს დაეცათ პროლეტარიატი და მისი მოკავშირე გლეხობა, რის თვალსაჩინოთ მაგალითად ითვლება დროებითი მთავრობის ბრძოლა პეტროგრადის საბჭოსთან, მიწის საკითხის გადაჭრის გაჭიანურება, იმპერიალისტური ომის გაგრძელება და სხვა და სხვა.

მაგრამ ამა თუ იმ პოლიტიკურ დროულობის საკითხს სწყვეტს ისტორია, როგორც უკანასკნელი ინსტანცია.

და ეხლა, როდესაც მთელ რუსეთში სამოქალაქო ომი მოისპო და რევოლიუციონური პროლეტარიატის გამარჯვება განმტკიცდა, ჩვენ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ისტორიის სამსჯავრომ უკვე აღიარა თანადროულად რუსეთის რევოლიუციონურ მოძრაობის ერთი სტატიიდან მეორეში გადასვლა.

რუსეთის რევოლიუციის განვითარებამ დაგვანახვა, რომ ფორმულამ „დემოკრატიზმით სოციალიზმისაკენ“ სრული კრახი განიცადა.

და რუსეთის რევოლიუციამ გაიმარჯვა, როგორც მუშათა რევოლიუციამ, სოციალისტური დიქტატურის საშუალებით.

IV.

თითქმის ყველა სოციალისტური პარტიები, რომელნიც მტრულად იყვნენ განწყობილი საბჭოთა ხელისუფლებისადმი, უსაყვედურებდენ უკანასკნელს დამფუძნებელ კრების გარეკვასა და დემოკრატიულ დაწესებულებათა (ქალაქ. თვითმართველობათა, ერობების და სხვ.) გაუქმებისათვის.

მაგრამ ავიწყდებოდათ, რომ დამფუძნებელი კრება და დემოკრატიული დაწესებულებანი არ არის ფეტიში სოციალისტებისათვის.

ჯერ კიდევ რუსეთის სოც.-დემ. მუშ. პარტიის მეორე ყრილობაზე 1903 წელს პლეხანოვი ამბობდა, რომ საერთოდ დამფუძნებელი კრება არ შეიძლება გამოცხადებულ იქნას ხელშეუხებლად რევოლიუციონურ სახალხო მოძრაობის პირობებშიო.

მართლადაც რომ საფრანგეთის პროლეტარიატს, კავენიაკის მიერ მისი სასტიკად დამარცხების შემდეგ (1848—1849 წლ. დამფუძნებელი კრების სასიხარულოთ) შესძლებოდა ბოლო მოეღო რეაქციის ამ ორგანოსათვის, ნუ თუ იქნებოდა ვინმე ისეთი სოციალისტი, რომელიც დაგმობდა მის ასეთ მოქმედებას?

მაშ, ჩვენ რატომ უნდა ჩავთვალოთ დანაშაულად დამფუძნებელი კრების გარეკა, როდესაც მშვენივრად ვხედავდით, რომ პროლეტარიატის ინტერესები ამ კრებაზე არსებულ ძალთა განწყობილების დროს, არ იქნებოდა საკმაოთ დაცული.

რატომ უნდა ჩავთვალოთ დანაშაულათ დემოკრატიულ დაწესებულებათა შეცვლა საბჭოებით, პროლეტარიატის და გლეხობის წარმომადგენლებით.

და ასჯერ მართალია ამხ. მარტინოვი, როდესაც ამბობს: „მაგრამ არის განა მოუხეშავი პარლამენტარიზმი საკმაოთ მახვილი და გამოსადეგი იარაღი რევოლიუციის პირობებში, როდესაც საჭიროა ჩქარი და გაბედული მოქმედება, როდესაც ყოველი საათი ძვირფასია? განა აქვს უფლება რევოლიუციონურ პარტიას ასეთ პირობებში ხელიდან გაუშვას ინიციატივა? განა ბოლშევიკები, რომელნიც დარწმუნდენ ოქტომბრის წინა ხანებში, რომ მათ მხარს უჭერს პროლეტარიატი, რომ მათ მხარს უჭერს მოძრაობის დიდი ცენტრები—პეტროგრადი, მოსკოვი და სხვა, რომ მათ მხარეზე იყვნენ ჯარის ნაწილები,—უნდა ყოფილიყვნენ გულხელდაკრეფილი და ეცადათ, სანამ კენჭის ყრით არ გამოირკვეოდა, რომ უკანასკნელი გლეხიც კი თანაუგრძნობს მათ? განა მოხდა სადმე მსოფლიოში ასეთი რევოლიუცია? არა.

მარქსი 1848 წელს ფრანკფურტის პარლამენტის შესახებ სწერდა: „ფრანკფურტის კრება ეწევა სასკოლო ვარჯიშობას პარლამენტარიზმში და თავისუფლებას აძლევს მთავრობას. დავუშვათ, რომ ამ სამეცნიერო კრებამ მოახერხა, საღი მსჯელობის შემდეგ, საუკეთესო დღის წესრიგის და სამაგალითო კონსტიტუციის შემუშავება, რა გამოვა... საუკეთესო კონსტიტუციისაგან, თუ გერმანიის მთავრობამ ამ დროს ხიშტი დააყენა დღის წესრიგში“.

ავიღოთ ეხლა სიკვდილით დასჯა. იგივე პლეხანოვი რუს. სოც. დემ. მუშ. პარტიის მე-2 ყრილობაზე კატეგორიულად ილაშქრებდა პარტიის პროგრამაში სიკვდილით დასჯის გაუქმების წინააღმდეგ, რადგან ითვალისწინებდა, რომ შესაძლოა რევოლიუციას მოუხდეს ნიკოლოზ მე-2 სიკვდილით დასჯა.

და ის ამაში არავითარ ცოდვას არ ხედავდა.

სიკვდილით დასჯა ჯერ კიდევ 1917 წ. 2 ივლისს იქნა შემოღებული დროებით მთავრობის მიერ კორნილოვის მოთხოვნით.

მაგრამ დროებითი მთავრობა ხვრეტავდა არა კონტრ-რევოლიუციონერებს, არა რევოლიუციის მტრებს, რომელნიც ბლომად მოიპოვებოდენ მაშინ და რომელნიც კბილებს ილესავდენ რევოლიუციის წინააღდეგ, არამედ დაქანცულ ჯარისკაცებს, რომელთაც უარი სთქვეს ბურჟუაზიის ინტერესებისათვის ბრძოლაზე.

საბჭოთა ხელისუფლებამ კი ტერორი მიმართა რევოლიუციის მტრების წინააღმდეგ და დროა ვაღიაროთ, რომ ამ სასტიკი ზომებით მან შესძლო რევოლიუციონური წესრიგის აღდგენა და საბოლოვოთ განამტკიცე თავის ხელში მოპოვებული გამარჯვება.

შეეძლო თუ არა მას სხვაგვარად მოქცევა?

მართალია, მან ზოგიერთ შემთხვევებში კიდეც გადააჭარბა ამ ტერორში, ამას არ უარყოფს არც ლენინი და არც მარტინოვი, მაგრამ ის მძიმე პირობები, რომელშიაც მას უხდებოდა თავდაცვა შემოტეულ რეაქციისაგან, არ აძლევდა მას საშვალებას სისწორით გამოეანგარიშებია თვითეული ნაბიჯი.

ამხ. მარტინოვი თავის „უკრაინის შთაბეჭდილებებში“ მოხერხებულად ახასიათებს ჩვენ ძველ შეხედულებას დემოკრატიაზე.

ჩვენი შეხედულება დემოკრატიასა და დიქტატურაზე რევოლიუციის ხანაში, უეჭველია, იყო მანილოვის შეხედულება, კაბინეტური, უსიცოცხლო დოქტრინიორული.

ჩვენ წავაგებდით რევოლიუციას, ვინაიდან კერენსკის ხანაში, ვიყავით რა „პოლიტიკური გუვერნანტკები“, ასე ვთქვათ, არ მოგვეპოვებოდა საყრდნობი. ჩვენ ვეჭიდებოდით ხან პროლეტარიატს, ხან დემოკრატიას და გვეშინოდა არ გვეწყენინებია ბურჟუაზიისათვის და არ აგვემხედრებია იგი ჩვენ წინააღმდეგ.

და პოლიტიკურ მეურნეობის ხანაში, როდესაც რეაქცია მტკიცე ნაბიჯით გვიახლოვდებოდა, ბოლშევიკებმა, ამხ. მარტინოვის სიტყვით, ღრმად გადაუშვეს ლუზა ხალხურ სტიქიაში, მათ მიაგნეს მას სიღრმეში ისეთი მაგარ საყრდნობს თავიანთი ძალაუფლებისათვის, როგორიც არ შეეძლო ეპოვა დაძაბუნებულ ინტელიგენტურ დემოკრატიას კერენსკის ხანაში.

სიკვდილით დასჯა, რა თქმა უნდა, სიმკაცრეა, რომელიც ვერ აღწევს მიზანს მტკიცე სახელმწიფოებრივ წესწყობილების დროს, როდესაც, თუ ყველა არა, ყოველ შემთხვევაში ბოროტ-მომქმედთა 99 პროც. ვერ გაექცევა კანონიერ სასჯელს.

მაგრამ რევოლიუციის და კონტრ-რევოლიუციის შორის გამწვავებულ ბრძოლის პირობებში, როდესაც ყოველი საათი ძვირფასია იმისათვის, რათა სასიკვდილოთ თავს დაესხა მტერს, როდესაც სწარმოებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, რევოლიუციონურ პარტიის საყვედური სიკვდილით დასჯის ხმარებისათვის,—ნიშნავს თვალების დახუჭვას იმ პირობების წინაშე, რომელშიაც ეს სიმკაცრე ხდება.

V.

ჩვენ ბრალი დავდევით ბოლშევიკებს ოქტომბრის და შემდეგ დღეებში იმაში, რომ მათ შეუზღუდეს დემოკრატიას უფლება და არ დაუშვეს იგი არჩევნებში და სხვა.

ჩვენ უსაყვედურეთ, რომ მათ გააუქმეს სიტყვის, პრესის და სხვ. თავისუფლება.

მაგრამ ვიყავით თუ არა მართალი? თუ გადავათვალიერებთ ჩვენ მიერ განვლილ გზას, უნდა ვაღიაროთ, რომ ბევრ რამეში ჩვენ არ ვიყავით მართალი.

რუსეთის სოციალ-დემოკრ. მუშ. პარტიის იმავე 2 ყრილობაზე პლეხანოვმა უარყო რა „დემოკრატიის პრინციპების“ აბსოლიუტური ღირებულება და შესაძლებლათ ჩასთვალა რა დამფუძნებელ კრების წინააღმდეგ რევოლიუციონური ბრძოლა, განაცხადა, რომ „რევოლიუციონურ პროლეტარიატს შეუძლია შეზღუდოს უმაღლესი კლასების უფლება იმ გვარათვე, როგორც უმაღლესი კლასები ზღუდავდენ ოდესღაც მის პოლიტიკურ უფლებებს.

ასეთი ზომის ავკარგიანობის შესახებ შეგვიძლია ვიმსჯელოთ შემდეგი დებულების თვალსაზრისით: Salus revolutiae suprema lex. (რევოლიუციის გამარჯვება—არის უმაღლესი კანონი).

---

*) მისი სრული სათაური, რომელიც აღდგენილ იქნა ცენზურის მოსპობის შემდეგ იყო „რევოლიუციის ორი ხაზი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ვიანგარიშებთ დაუმთავრებელი
ით გადამუშავებულ ნედლ მასა-
ა და საბოლოოთ დამუშავებულ
არმოებებს—აღნიშნული გაერთი-
ბის პროდუქციის ღირებულება
ოიხატება 5.987 მან. (ჩერვონ-
ში).

იბილისის ხე-ტყის მხერხავ ქარ-
აზე № 3 21 მწარმოებელ მუშის
უალებით 26 სამუშაო დღეში,
ისის განმავლობაში დაიხარჯა
ლი მასალა—მორები 13563 კვ.
ტი ან საშუალოთ 58 პროც. მთე-
მარაგისა, სულ 5594 მან. 73 კ.
რვონ(ცებში) ღირებულებისა. ივ-
ის განმავლობაში დამუშავებუ-
ა დახერხილი მასალა 14258 კვ.
შოკი. საშუალოთ ქარხნის პრო-
ქცია ივნისის განმავლობაში გა-
ოიხატება 10586 მ. 56 კ. (ჩერვონ-
ში).

პროვინციის წარმოებები.

ნატანების ხე-ტყის მხერხავ ქარხა-
ში 30 მწარმოებელ მუშის საშუალე-
თ 14 სამუშაო დღეში მაისის გან-
ლობაში დაიხარჯა ნედლი მასალა
მორები 6391 კვ. ფუტი, სულ
36 მ. 29 კ. (ჩერვონცებში) ღირე-
ლებისა; დამუშავებულია დახერ-
ლი მასალა 4196 კვ. ვერშ., საერ-
დ პროდუქცია მაისის განმავლო-
ში გამოიხატება 3115 მ. 53 კ.
რვონცებში).

ფოთის ქარხანაში № 1 12 მუდ-
ი და 2 დროებითი მწარმოებელ
შების საშუალებით 20 დღეში (6
გამცდარი იყო საფაბრიკო ინს-
ქტორის მიერ ქვაბის გასინჯვის
ხზით), მაისის განმავლობაში დაი-
ჯა ნედლი მასალა—მორები 6419
ფუტი, სულ 2647 მ. 84 კ.
რვონცებში) თანხისა. დამუშავე-
ლია დახერხილი მასალა 5896 კვ.
შ., დახერხილი შპალები 148 ცა-
ან 518 კვ. ვერშ., სულ 6414 კვ.
შ. მთელი პროდუქცია მაისის
მავლობაში გამოიხატება 4862 მ.
კ. (ჩერვონცებში).

ფოთის ქარხანაში № 2, 12 მუდ-
და 2 დროებითი მწარმოებელი
შების საშუალებით 20 დღეში (6
გამცდარი იყო ზემო აღნიშნულ
ზების გამო), მაისის განმავლობაში
ხარჯა ნედლი მასალა—მორები
36 კუბ. ფუტი (მთელი მარაგის
პროც.), სულ 2320 მ. 72 კ.
რვონ.) თანხისა. დამუშავებულია
ერხილი სატყეო მასალა სულ
19 კვ. ვერშ., ამათგან შპალები
ცალი. მაისის განმავლობაში
ლი პროდუქცია გამოიხატება
38 მან. 63 კ. (ჩერვონც.).

ლდუთ-კალეს ქარხანა № 3 მაისის
მავლობაში არც ერთი დღე არ მუშაობდა მანქანის შეკეთების გამო; წაბლარისხევის, ხონის, ქუთაისის და შამგონის ქარხნებიდან ცნობები ჯერ არ არის მიღებული.

სატყეო ოპერაციები.

5 ხე ტყის დამამზადებელ რაიონში 52 მუშის საშუალებით მოიჯარადრეებისა და დღიური მუშების მონაწილეობით მაისის განმავლობაში დამზადებულია და ჩატანილია მაგისტრალებთან (რკინ. გზ.) და საწყობებში:

	დამზადებულია:	ჩატანილია:
მორები კუბ. ფუტი	15368	26397
კოჭები კვ. ვერშ.	520	10899
შპალები ცალ.	130	309
ბოძები ცალ.	391	391
„დრივები“ კუბ. საჟ	118	275,5
ბოჭკის ფიცრ. ცალ.	—	10.000

პროდუქცია მაისის განმავლობაში გამოიხატება 12276 მან. 97 კ. (ჩერვონცებში).

საანგარიშო თვის ივნისის განმავლობაში განაღდებულია ტფილისის გაერთიანებულ წარმოებების ნაწარმოებები—სადურგლო და გრეხილი ავეჯეულობა სულ 1963 მან. 10 კაპ. ღირებულებისა. ნაწარმოებები მიეყიდა სახელმწიფო დაწესებულებებსა და კერძო პირებს.

ტფილისის მესამე მხერხავ ქარხნის მიერ განაღდებულ იქნა დახერხილი ხე-ტყის მასალა 10.079 კვ. ვერშ., სულ 7483 მან. 65 კაპ. ღირებულებისა.

პროვინციის ოთხი მხერხავ ქარხნის მიერ მაისის განმავლობაში განაღდებულია დახერხილი ხე-ტყის მასალა სულ 14558 მან. 20 კ. ღირებულებისა. ხუთ ხე-ტყის დამამზადებელ რაიონის მიერ იმავე თვის განმავლობაში განაღდებულია ხე-ტყის მასალა სულ 19764 მან. 44 კ. ღირებულებისა.

ივნისის განმავლობაში მსხვილ გარიგებათაგან უნდა აღინიშნოს შემდეგი:

ტრესტის მიერ მიღებულია შეკვეთა საფეიქრო ტრესტის მაღაზიებისათვის მოწყობილების დამზადებისათვის 2475 მან. თანხისა.

შეკვეთის ნაწილი უკვე შესრულებულია. ჯერ კიდევ აპრილში მიღებული კომუნისტური უნივერსიტეტის შეკვეთა ნახევრათ უკვე შესრულებულია; ამასთანავე ივნისში მიღებულ იქნა დამატებითი შეკვეთა იმავე უნივერსიტეტიდან 861 ჩერვონეცის მან. თანხისა.

უმთავრესი მიზეზები, რომელნიც აფერხებენ ტრესტის წარმოებების მუშაობას, არის საბრუნავი თანხების უქონლობა, ტეხნიკური მოწყობილებისა და ზოგიერთ დამხმარე მასალების უქონლობა, რომელნიც ხშირათ ძნელი საშოვნელია ადგილობრივ ბაზარზე და მანქანების სიძველე.

ს. ს. ს. რ. სახალხო მამულები

წინანდლის სახალხო მამულები

წინანდლის სახალხო მამული გა-
ბულია სოფელ წინანდალში (თე-
ვის მაზრა) რკინის-გზის სადგუ-
დან სამი ვერსის სიშორეზე. მამუ-
მიწ. სახ. კომ. უწყებაშია. შოსე
საურმე გზები, რომლებითაც მა-
ლი სარგებლობს, შეუკეთებლობის
ო, ვერ არის დამაკმაყოფილებელ
გომარეობაში.

უძრავი და მოძრავი ქონება წინანდალის სახ. მამულისა შეფასდება 1.393 173 მან. ოქროთი.

მამულს უჭირავს 617 დესიატინა მიწა; აქედან ვენახებს უკავია 100 დესეტინა, ტყეს,—398 დეს. პარკს—8 დესეტ. კარმიდამოს—3 დესეტ. მუშათა და მსახურთა ბოსტნებს 2 დეს. მწირსა, მიწასა და მდ. კისისხევის კაალაპოტს 48 დესეტ.

მამულს აქვს მევენახეობისა და მეღვინეობისათვის აუცილებლად საჭირო გაუმჯობესებული ხარისხის იარაღები მსხვრეველები (დრობილიკი), საწნეხები, ფილტრები, პასტერიზატორი, ვენახების საწამლებელი მანქანები, როგორც ხელით სახმარი, ისე ცხენით და სხვა. იარაღები ყველა საფრანგეთშია შეძენილი. მამულს ჰყავს 13 მუშა ცხენი ვენახის სახნავად, 5 სამგზავრო ცხენი და 10 ულელი ხარკამეჩი, მეტად მწვავედ დგას ამ ჟამად მუშა-ცხენების საკითხი. ცხენების რაოდენობა არაა საკმარისი და არც ღირსებით არის დამაკმაყოფილებელი. თავლა უნდა შეივსოს ახალგაზრდა და ღონიერი ჯიშის ცხენებით, რომელნიც გამოდგებიან ისეთი მძიმე სამუშაოსათვის, როგორიც არის ვენახების დახვნა და ბორდოს სითხით სავსე აპარატის გადაზიდვა.

მუდმივი მუშების, ხელოსნების და მსახურთა რაოდენობა მამულში 96 კაცია. ამათ გარდა საშუალოდ წელიწადში მამულში მუშაობს 70000 დე დღიური მუშა. მამულში არის სამკურნალო პუნქტი. მამული არსებობს 1887 წლიდან, აქაური გლეხებიც მისდევენ მევენახეობას; მუშაობიდან თავისუფალ და თავის საოჯახო საქმეებიდან მოცლილ დროს გლეხები სამუშაოდ მიდიან მამულში, სადაც ვაზის რაციონალურ მოვლა-მოშენებას სწავლობენ და შემდეგ თავის ცოდნასა და პრაქტიკას იყენებენ საკუთარ მეურნეობაში და ხშირად უფრო უკეთ ამუშავებენ თავიანთ ვენახებს, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, როცა სახ. მამული, ეკონომიურ მდგომარეობის გამწვავების გამო, შესაფერისად ველარ მუშავდებოდა.

თითქმის ყოველ მოსახლეს აქვს მშვენიერი, რიგზე გაშენებული და მავთულზე მიკრული ვენახი, რომლის გაახლებას ახლა სცდილობენ ამერიკული ნამყენის საშვალებით.

წინანდალის სახალხო მამული მორწყვას არ არის ჩვეული და არც საჭიროებს. მამული იკვებება წყალსადენით გამოყვანილი წყაროების წყლით, რომელნიც ოთხი ვერსის სიშორეზე გამოდიან. წყალსადენის მაგისტრალის დასაცავად მოდიდებული კისისხევის ნიაღვრიდან, საჭირო შეიქნა მდინარის მარჯვენა ნაპირზე უდიდესი ჯებირების გაკეთება და მამულმა ააგო კიდეც ცემენტის დიდი დამბები, რომლის საძირკველი მიწაში 4 არშინის სიღრმეზე არის.

ქვემოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს ღვინის მოსავალს მთელს მამულში (100 დესეტ.) 1911 წლიდან 1922 წლამდე.

1911 წ.—44.089 ფ. 912 წ—30.211 ფ. 913—46.099 ფ 914 წ.—23.500; 1915—13 300 ფ. 916 წ.—14.272 ფ. 917 წ.—16 775 ფ. 1918 წ.—19000 ფ. 919—12.414, 1920—19.940; 1921—24 636 1922 წ.—9056 ფ.

ცხრილი აშკარად გვიჩვენებს მოსავლიანობის საგრძნობ რყევას, რომელიც განსაკუთრებით შესამჩნევი ხდება 1915 წლიდან. ამის მიზეზი მრავალია: მუშების სამხედრო სამსახურში გაწვევა და საქონლის მობილიზაცია სამხედრო საჭიროებისთვის 1914 წელს, სეტყვა 1915 წელს, არაჩვეულებრივი საშინელი სეტყვა 16 წ. და 22 წლებში, და აგრეთვე ფილოქსერის ბუდეების გავრცელებამ ძალიან შეამცირა მოსავალი.

უკანასკნელი თორმეტი წელი არ გამოდგება მამულის სარგებლიანობის შესახებ დასკვნის გამოსატანად, თუ ნორმად ავიღებთ ათ წელს 1903-დან 1911 წლამდე, როცა ვენახები ნორმალურად მუშავდებოდა და საქმიანობაც ასე თუ ისე უკეთეს პირობებში მიმდინარეობდა, თვალ წინ სულ სხვა სურათი გადაგვეშლება. წინანდალის მამული ამ ხანებში საშუალოდ იძლეოდა ყოველწლიურად. 43,000 ფუთს ყურძენს ანუ დესეტინაზე საშუალოდ 430.400 ვედრო ღვინოს, თუ ვედრო ღვინოს 2 ნახ. მანეთად შევაფასებთ, ყოველ დესიატინიდან მივიღებთ 1000 მანეთს შემოსავალს. ხარჯი იმ დროს თვითეულ დესეტინის დამუშავებაზე 250 მანეთს არ აღემატებოდა, დანარჩენი ჯამი შეიძლება ჩაითვალოს წმინდა მოგებათ.

სასოფლო მეურნეობა

სოფლის მეურნ მდგომარეობა აჭარისტნში 1923 წ. გაზაფხულის განმავლობაში

(სტატისტ. ცენტრალი სამმართველოს ცნობა)

1923 წლის გაზაფხული აჭარისტანში, აჭარისტანის ცენტრალურ სტატისტიკურ ბიუროს მოხსენების მიხედვით, იყო მეტად ცხელი. წვიმა მოდიოდა მეტად მცირე; გვალვა იყო მთელი გაზფხულის განმავლობაში. ქარიანი დღეები იყო საშუალო. საერთოდ გაზაფხულის ამინდი მთელ მხარეში იყო არა სასურველი სოფლის მეურნეობისათვის, რის გამო დაგვიანდა თესვა. ამ გარემოებამ აგრედვე უარყოფითი გავლენა იქონია დათესილ მცენარეებზე.

ნათესის მდგომარეობა მთელ მხარეში იყო გაზაფხულის მიწურულს საშუალოზე ცუდი. ხუთ-ბალიანი სისტემით კი შემდეგი: სიმინდის—(2,9); შემოდგომის ხორბლის—(2,6); შემოდგომის ქერის—(2,6); ბრინჯის—(2,8); რაც შეეხება სოფლის მეურნეობის მეორე დარგს მესაქონლეობას—საქონელმა გამოიზამთრა ცუდათ, სუსხიანი ზამთარი და საკვების ნაკლებობის გამო. არც გაზაფხულში იყო საქონლის მდგომარეობა სასურველ დონეზე. მთელ აჭარისტანში საგრძნობი ნაკლებობაა საძოვრების, რაც ხელს უშლის მეურნეებს იყოლიონ კარგი საქონელი. საქონლის ჭირი და სხვაგვარი სნეულება ზამთარში და გაზაფხულში არ იყო შემჩნეული.

მოსავალი საქართველოში

დასავლეთ საქართველოში

დასავლეთ საქართველოში ხანგრძლივმა გვალვამ, რომელმაც ძალიან შეაშინა გლეხები, შეიცვალა ხშირი წვიმებით, რის გამო სიმინდის მდგომარეობა ერთბაშად გამოსწორდა და იძლევა იმედს კარგი მოსავლისას.

ამის გამო მიწის მუშის სულიერი მდგომარეობა გაუმჯობესდა. სიმინდის მავნებლების შესახებ საშიში ცნობები არ მოგვდის.

აღმოსავლეთ საქართველოში

აღმოსავლეთ საქართველოს მაზრების დაბლობ ადგილებში იჭრება შემოდგომაზე და გაზაფხულზე დათესილი პური.

მცხოვრებნი ჩქარობენ მოსავლის შენახვას, რადგან მაზრის ამა თუ იმ რაიონში ყოველდღე სეტყვა 5—10 წუთის განმავლობაში ანადგურებს ნათესების და ბაღების დიდ სივრცეს.

უკანასკნელი ცნობების მიხედვით, განსაკუთრებით დიდი ზარალი მიაყენა სეტყვამ ბორჩალოს, გორის, სიღნაღის და თელავის მაზრებს. ამ მაზრებში ხშირად შემჩნეულია მიწის მუშას სასტიკი, მაგრამ უსწორო ბრძოლა სტიქიასთან. მინდვრის ერთ ბოლოში მუშები ჩქარობენ გასჭრან პური, ხოლო მეორე ბოლოში სეტყვა ანადგურებს მოსავალს.

მოსავლის ინტენსიური შენახვის გამო, ძალიან დიდი ნაკლულევანებაა მუშა ხელის.

მუშა ხელის ასეთმა მოთხოვნილებამ გამოიწვია ხელფასის ზრდა. მაგ. მხოლოდ ერთი დესეტინა მიწის გაცელვა ჯდება 18—20 მილ. მანეთი, რაც მთელი მოსავლის ნახევარ ღირებულებას შეადგენს სხვა დანარჩენ ხარჯების გამოკლებით.

ძალიან გამწვავებულია ეს საკითხი კახეთში. იქ ნახევარი დესეტინა სიმინდის გამარგვლა ჯდება 25—28 მილიონი მანეთი, რადგანაც მუშა დღეში 3,500,000 მანეთს თხოულობს და ხარჯს. სიმინდის გამარგვლა ჩვეულებრივად სამჯერ უნდა მოხდეს. ასეთი ხარჯების გაწევა მიწის მუშას არ შეუძლია, რადგან დღეს კახეთში 28 მილიონ მანეთად 150 ფუთი გამხმარი სიმინდის შეძენა, ე. ი. იმაზე მეტი, რაც ნახევარ დესეტინა მიწაზე მოვა. (ადგილობრივ სიმინდი 150—160 ათასი მან. ფასობს ფუთი).

ეს გარემოება აიძულებს ბევრ ოჯახებს დასტოვოს სიმინდის ნათესები დაუმუშავებლად. ამას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება, რათა დაღუპვისაგან დავიხსნათ სიმინდით დათესილი ათასი დესეტინა ყანები-კახეთში, ხოლო გლეხების მრავალი ოჯახები გადავარჩინოთ აუცილებელ სიმშილობას.

მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

დუშეთის მაზრაში.

მთლიან სასოფლო სამეურნეო გადასახადით დასაბეგვრ ობიექტების ფაქტიური აღნუსხვა დუშეთის მაზრაში მაისის 22-ს დაიწყო. მთელ მაზრაში მუშაობდა 16 თანამშრომელი, რომელნიც საგანგებოდ იქნენ მოწვეულნი და რომელთაც თემებში გამგზავრებამდე ყოველგვარი დაწვრილებით რჩევა-დარიგება მიეცათ. ობიექტებით აღნუსხვა 18 დღეში დასრულდა.

თანამშრომელი მუშაობის დროს სხვა და სხვა დაბრკოლება ეღობებოდათ წინ. მათში უმთავრესი ის იყო, რომ ამ დროს გლეხები მინდვრის სამუშაოში იყვნენ ჩაბმულნი და თანამშრომელთ მუშაობა უხდებოდათ საღამოობით, სამუშაოდან გლეხების დაბრუნების შემდეგ. მეორე დაბრკოლება იმაში მდგომარეობდა, რომ მთელი ადგილობრივი ადმინისტრაცია იმ ჟამად მთელს თავის დროს ანდომებდა სამოქალაქო გადასახადის აკრებას და ამიტომ სათანადო დახმარებას ველარ უწევდა თემებში მომუშავე თანამშრომელთ. გლეხებში ერთგვარი დამშვიდება შეიტანა ამ თანამშრომელთა განცხადება, რომ ეს სამოქალაქო გადასახადი უკანასკნელი გადასახადია იმ მრავალსახიან გადასახადებში, რომელიც იკრიბებოდა დღემდე და რომ დღეის შემდეგ დაწესებულია მხოლოდ ერთი სასოფლო სამეურნეო გადასახადი.

აღნუსხვის შემდეგი მაზრაში შემდეგია: აღმოჩნდა 284 სოფელი, 10.301 კომლი, 16.273 დესიატინა სახნავი, 2.210 დესსათიბი, 284 დეტს. ხილის ბაღი, 654 დესეტინა ვენახი, 24 248 სული მსხვილ ფეხა საქონელი, 67.881 სული ცხვარი და თხა, 1053 ღორი.

აქვე უნდა აღინიშნოს. რომ წელს სახნავი 2.956 დესიატინით მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ამას გვიჩვენებს 1917 წლის სასტატისტიკო ცნობები. 1921 წლის ნატურ-გადასახადის კამპანიის ცნობებთან შედარებით კი წელს სახნავი მეტი აღმოჩნდა 5.050 დესეტინით.

სამაგიეროდ მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი წელს შედარებით ბევრად ნაკლები აღმოჩნდა. ეს ალბად აიხსნება იმ გარემოებით, რომ მაზრაზე 1917 წლიდან რამდენჯერმე გადაიარა სამოქალაქო ომის ქარტეხილმა. ამას გარდა, როგორც ვიცით, საერთოდ საქართველოში, საზოგადო პირობათა გამო, საქონლის რიცხვმა 25-30 პროცენტით იკლო.

სამხრეთ-ოსეთში.

სასოფლო სიების შედგენა სამხრეთ ოსეთში ჯერ კიდევ ივნისის პირველამდე დასრულდა. სიების ნაკლს შეადგენდა ის, რომ იქ ჯამები არ იყო გამოყვანილი, რის გამოც შეუძლებელი იყო დასაბეგვრ ობიექტების საერთო რაოდენობის წარმოდგენა მთელს სამხრეთ-ოსეთში. საკანტროლო მასალად შეიძლება გამოყენებულ იქნეს წარსულ ნატურსა-გადასახადო კომპანიის ცნობები.

მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანიის მდგომარეობას შემდეგნაირად გვიხასიათებს საქართველოს სასურსათო სამეურნეო კომისარიატის რევიზორ-ინსტრუქტორის ია კარგარეთელის მოხსენება ივლისის 5-ს თარიღით:

სამხრეთ-ოსეთის მიერ წარმოდგენილი ჯამები სასოფლო მეურნეობის შესახებ მეტად შემცირებულია. განსაკუთრებით შემცირებულია სახნავის სივრცე. გორის მაზრის საადგილ მამულო წიგნაკებით რომ ვისარგებლოთ და გავარჩიოთ ის სოფლები, რომლებიც სამხრეთ ოსეთზე გადავიდა, გამოვა, რომ სამხრეთ-ოსეთში უნდა იყოს (დუშეთისა და რაჭის მაზრიდან გადასულ სოფელთა გამოკლებით):

1. სახნავი	28 996 დესეტ.
2. სათიბი	5.358 „
3. ხილის ბაღი	39 „
4. ვენახი	452 „

ივლისის პირველს, ცხინვალში გაიმართა საგანგებო თათბირი, რომელსაც დაესწრნენ ცენტრალურ აღმასკომთან არსებულ საგადასახადო კომისიის წევრები, რომელთაც აღიარეს, რომ ჯამები სწორედ არ არის გამოყვანილი და დაადგინეს მიიღონ ზომები სიების შესასწორებლად, 1915—17 და 1919 წლის საადგილმამულო შეწერილობის ცნობების თანახმად.

აჭარაში.

საქართველოს სახალხო სასურსათო კომისარიატისაგან საჭირო ინსტრუქციების და ბლანკების მიღების უმალ აჭარაში დაიწყო წინასწარი მუშაობა მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩასატარებლათ. უპირველესად მოწვეულ იქმნენ სასოფლო სიების შემდგენელნი. აჭარის ცენტრალურმა აღმასკომმა მხედველობაში მიიღო ადგილობრივ მოსახლეობის ადათ—ჩვეულებანი და დაადგინა ტეხნიკური მუშაკნი და ინსტრუქტორები სასოფლო სიების შესადგენად ადგილობრივ მცხოვრებთაგან ყოფილიყვნენ მოწვეულნი. ამიტომ მოწვეულ იქმნენ სამუშაოდ კურსანტები, რომელნიც პარტ'კოლაში მეცადინეობენ და გიმნაზიის მე-8 კლასის მოწაფენი, რომელნიც გაცნობილ იქმნენ დეკრეტს და ინსტრუქციებს.

იმავე აღმასკომმა საჭიროთ დაინახა სთელს აჭარაში ფართო აგიტაციის გაწევა მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სასარგებლოდ, რაიც დაეკისრა პასუხისმგებელ ამხანაგებს. ამავე ამხანაგებს დაევალა, გაეცნოთ მოსახლეობა სასოფლო სიების შედგენის საქმისათვის.

აგიტაცია ივნისის 20-ს დაიწყო და მის დასრულების შემდეგ, ივნისის 29-ს გადამწერნი ადგილებში გაიგზავნენ საჭირო ინსტრუქციებით და საკმაო სასოფლო სიების ბლანკებით.

სასოფლო სიებს ადგენენ ადგილებში (სოფლებში) მთელის ყრილობისა და სამაზრო და სათემო აღმასკომთა წევრების და სოფლის მუხტარის თანადასწრებით. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ როგორც მუხტარი, ისე სათემო აღმასკომის წევრი და გადამწერი ადგილობრივი მცხოვრებნი არიან და მათ კარგად იციან თავიანთ მეზობლების მეურნეობათა შემძლეობა და მდგომარეობა, სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ცნობების გადამალვას ადგილი არ ექნება.

სასოფლო სიების შედგენა წარმატებით მიმდინარეობს და მოსახლეობა კარგის თვალით უყურებს მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადს.

მთელს აჭარაში დაგზავნილია 20 გადამწერი. როგორც მუშაობის მსვლელობიდან სჩანს, სიების შედგენა დასრულდება ივლისის 20—25-ს, რომლის შემდეგაც დაიწყება აღნუსხულ ობიექტების გადატანა სახნავზე და მსხვილფეხა საკლავ საქონელზე.

მენშევიკური პარტია აღსასრულის წინ

ამხ. რედაქტორო, ვაცხადებ, რომ მე ვითვლებდი რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის წევრათ 1903 წლიდან და 1917 წლიდან ფაქტიურათ დავტოვე პარტიული მუშაობა, მხოლოდ 1920 წ. ფორმალურად გამოვედი პარტიიდან. ჩემი გამოსვლის მიზეზი იყო ის, რომ 1917 წ. თებერვლის რევოლიუციის შემდეგ პარტიამ შესცვალა თავისი მოქმედება და პროგრამა, რომელიც არ შეეფერებოდა წინანდელ მოქმედებას, რასაც მე მიუღებლათ ვსთვლიდი. და ამრიგათ 1920 წლიდან მე ყოველგვარი კავშირი გავწყვიტე მენშევიკურ პარტიასთან.

პლატონ ჯანელიძე.

1923 წ. 10 ივლისი.

მოქ. რედაქტორო, საქართველოს გასაბჭოების უკანასკნელი ორიწლინახევრის განმავლობაში მე არ მიმუშავნია სოციალ-დემოკრატიულ (მენშევიკების) პარტიაში. ჩემს თავს ვთვლიდი და ახლაც ვთვლი ამ პარტიის გარეშე. კომუნისტური პარტიის მიზანი მისაღებად მიმაჩნია და მხარსაც დავუჭერ.

გიორგი მაჭავარიანი.

პარტიის წევრი 1902 წლიდან.

1923 წ 12 ივლისი.

გთხოვთ საყოველთაო გასაგონად გამოაცხადოთ, რომ ჩვენ ვითვლებოდით მენშევიკურ პარტიაში 1915 წლიდან 1921 წლამდე, საქართველოს გასაბჭოების დღიდან კი ჩვენ არავითარი მონაწილეობა არ მიგვიღია ამ პარტიაში, რომლიდანაც ამასთანავე გამოვდივართ და მთელის ძალღონით მხარს მივცემთ მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას.

ტევნაძე მიხეილი.

თათარაშვილი ლავრენტი.

1923 წ. 13 ივლისი.

პროფკავშირებში

პროფსაბჭოს სამდივნოში.

სოციალურ დაზღვევის განყოფილების თამჯდომარეს კანდიდატურა.

პროფსაბჭოს სამდივნომ 11 ივლისის სხდომაზე დაადგინა: რესპუბლიკის საციალურ დაზღვევის განყოფილების თავმჯდომარეთ დანიშნოს ამხ. ცომაია.

დასასვენებელი დღე.

სამდივნომ სახ. კვების კავშირის მომარაგვის თანახმად, დაადგინა: აუ-

---

**ყოველ მხრიდან მტრებით გარშე-
რტყმულ საბჭოთა ხელისუფლე-
სრული უფლება ქონდა შეეზ-
და თავის მოწინააღმდეგეთა უფ-
ბები. და ეს სრულიადაც არ ეწი-
მდეგება სოციალისტურ პარ-
პრინციპებს.**

მ. მარტინოვი თავის „შთაბეჭდი-
ებში“ შესანიშნავად ახასიათებს
„ძალადობას“.

ოლშევიკური დიქტატურაო,—ამ-
ს, ის—არის რეჟიმი რევოლიუციო-
კლასთა ძალდატანებისა არა
ოლიუციონერებზე საზოგადოე-
უკიდურესი მერყევ წონასწორო-
პირობებში, როდესაც საერთოთ
ლია რევოლიუციონურ და კონტრ-
ოლიუციონურ ბანაკთა შორის
ვობრივი შეფარდების გამორ-
და როდესაც ეს შეფარდება
ით-დღე იცვლება და განიცდის
ყობას.

დია, რომ სხვა გამოსავალი საბ-
ა ხელისუფლებას არ ჰქონდა.
დესაც რეაქცია განადგურებით
რებოდა, მას არ შეეძლო შეურ-
ლად აღეარებია დემოკრატიული
ნციპები.

VI.

აბჭოთა ხელისუფლების წინააღმ-
ბრძოლა იქამდე მივიდა, რომ
რჯვენე სოც.-დემოკრატების მთე-
რიგი თეთრგვარდიელთა ბანაკში
ოჩნდა.

თხალისეთა არმიაში ჩვენ ვხედავ-
ბევრ სოციალისტებს, რომელ-
დარწმუნებულნი იყვენ თავიანთ
ულების სიმართლეში და ვერ შე-
თ, რომ ისინი იყვენ ბრმა იარა-
კონტრ-რევოლიუციის ხელში.

მხრივ ჩვენ არ გაუგონეთ ჩვენ
მასწავლებელ გ. პლეხანოვსაც
რომელიც იყო რა ბოლშევიკების
ნააღმდეგე, სრულებით არ იზია-
და საბჭოთა ხელისუფლების წი-
მდეგ შეიარაღებულ აჯანყების
ციპს.

სჩანს შემდეგი ფაქტიდან.

დესაც 1917 წლის ნოემბერში, კე-
ომ და კრასნოვმა მცირე რიც-
ყაზახთა არმიის საშუალებით
რეს ცარსკოე სელო და მიუ-
დენ პეტროგრადს, გ. პლეხა-
ს დელეგაციის სახით გამო-
ა ბ. სავინკოვი და წინადადე-
ცა მას შეედგინა სამინისტრო,
ც კი ყაზახები შევიდოდენ
ოგრადში.

ლეხანოვმა აღშფოთებით უარ-
წინადადება და განუცხადა
ატს:

ომოცი წელიწადი შევსწირე
ეტარიატს და მე არ შემიძლია დავხვრიტო იგი მაშინაც კი, როდესაც ის ყალბი გზით მიდის. და არც თქვენ მირჩევთ ამის ჩადენას. ნუ ჩაიდენთ ამას ჩვენი რევოლიუციონური წარსულის პატივსაცემად“.

მაგრამ პლეხანოვის სიტყვები არ გაიგონეს. და ამაშია ჩვენი შეცდომა.

ამ დროს თბილისის საბჭოში ნოე ჟორდანია პეტროგრადის პროლეტარიატზე შეიარაღებულ თავდასხმას დანაშაულს უწოდებდა და სრულიად მიუღებლად მიაჩნდა იგი სოციალისტებისათვის. მაგრამ შემდეგ ეს თვალსაზრისი არ იქნა დაყვანილი ლოღიკურ დასკვნამდე.

ქართველ მენშევიკების შეცდომა გამომდინარეობდა რუსეთის მენშევიკების საერთო შეცდომიდან.

საქართველოს მენშევიკები, რომლებიც წინეთ შეადგენდენ რუსეთის მენშევიკურ პარტიის მემარცხენე ფრთას, ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ დიდ მერყეობაში იყვენ და ეძებდენ გამოსავალს შექმნილ მდგომარეობიდან. მე მაგონდება ერთი კერძო თათბირი, მოწყობილი ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ და ამიერ-კავკასიის რუსეთისაგან გამოყოფის წინ გაზეთის, „Известия совета рабочих и солдатских депутатов“ რედაქციაში თათბირს დაესწრენ ნოე ჟორდანია, ი. წერეთელი, ვ. ვოიტინსკი და სხვები.

დადგა საკითხი: რა ვქნათ?

მე ვხედავდი ნ. ჟორდანიას მერყეობას. ძნელი იყო რუსეთთან ასე ჩქარა ყოველგვარ კავშირის შეწყვეტა. მაგრამ გამოვიდა ირაკლი წერეთელი. ის დიდხანს დ მჭერმეტყველურად ლაპარაკობდა და ამტკიცებდა, რომ ერთად ერთი გამოსავალი დ ბრესტის ხელშეკრულებისაგან ხსნა არის რუსეთთან კავშირის შეწყვეტაში და დამოუკიდებლობის გამოცხადებაში.

შემდეგ გამოვიდა ვოიტინსკი და საკითხი გადაწყდა ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხედების სასარგებლოთ.

ეს იყო კერძო თათბირი.

უფრო სერიოზულად საკითხი დასმული იყო პარტიულ და კანონდებულებითი დაწესებულებებში.

და ბოლოს ეს საკითხი გადაწყდა. მაგრამ საინტერესო იყო ის, რომ კანონდებულებითი ორგანოში, სადაც დასმული იყო ეს საკითხი, ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის დასაცავათ გამოვიდა სოც.-დემ. ფრაქციის უბრალო წევრი. პარტიის მეთაურნი გაჩუმებული იყვნენ. უხერხული იყო იმ მშრომელ რუსეთისაგან დაშორება, რომელთანაც მრავალ წლების განმავლობაში ერთად ვიბრძოდით.

ჩვენ ყოველგვარი კავშირი გავწყვიტეთ რუსეთის პროლეტარიატთან.

სამწუხაროთ, ჩვენ ძალიან მეგობრულად ვხვდებოდით ინგლისის და საფრანგეთის გენერლებს, ხოლო სრულიად გულგრილად საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებს.

ჩვენ გამოვაცხადეთ, რომ ვეყრდნობით დასავლეთ-ევროპის პროლეტარიატს. და როდესაც ჩვენ დასავლეთ-ევროპის პროლეტარიატის ნაცვლად პირის პირ შევხდით ნამდვილ იმპერიალისტებს, რომლებიც დიდის პატივისცემით შეგვეგებენ იმისათვის რომ მერე შევეჭამეთ, ჩვენ აქაც მოვნახეთ გამართლება ასეთ დებულებაში: „დასავლეთ-ევროპის იმპერიალისტები ჩვენ გვირჩევნია აღმოსავლეთის ფანატიკოსებს“-ო.

მას ამბობდა ჩვენი პარტიის ბელადი ნოე ჟორდანია.

როგორი იყო ასეთ პოლიტიკის შედეგი, ეს ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს: ინგლისისა და საფრანგეთის კაპიტალის ბატონობა საქართველოში, ანტანტის გენერლების წინაშე მუხლის მოდრეკა, ეროვნული შული, დაუსრულებელი ომები მეზობელ ხალხთან, რასაც ამზადებდა ინგლისის და საფრანგეთის კაპიტალი, საბჭოთა ხელისუფლებასთან ურთიერთობის გამწვავება და სხვა.

ჩვენ არ გამოვდექით ფხიზელ პოლიტიკოსებათ იმ დროსაც, როდესაც ჩვენ გარშემო იყო საბჭოთა ხელისუფლება, ანტანტის იმპერიალისტებმა დაგვტოვეს და მხოლოდ პატარა საქართველოში სულს ღაფავდა „დემოკრატიული ხელისუფლება“. აქ საბჭოთა ხელისუფლების სახით მოდიოდა რუსეთის პროლეტარიატი იმისათვის, რომ კავშირი შეეკრა საქართველოს პროლეტარიატთან დაემყარებია საბჭოების ხელისუფლება. ჩვენ ვერ გავითვალისწინეთ, რომ ეს საქმე წინდა წინ წაგებული იყო და წითელ არმიის წინააღმდეგ წამოვაყენეთ ჩვენი მცირე ჯარი. რა თქმა უნდა, ჩვენ ომი წავაგეთ.

ჩვენ მაშინ ვფიქრობდით: „უბრძოლველად არ დავნებდებით; შეიძლება დასავლეთის პროლეტარიატმა გაიგონოს ჩვენი კვნესა მძიმე ჭრილობებისაგან და დაგვეხმაროს“. მაგრამ დასავლეთის არც პროლეტარიატმა და არც კაპიტალიზმმა, რომელმაც აქ ხელები გაითბო, არ გაიგონა ჩვენი კვნესა.

რამდენად მოკლებული იყო ჩვენი პოლიტიკა შორსმჭვრეტელობას, ამტკიცებენ დამფუძნებელ კრებაში მომხდარი უკანასკნელი ამბები. მახსოვს დამფუძნებელ კრების უკანასკნელი სხდომა ბათომში, როდესაც სოც.-დემ. ფრაქციის ზოგიერთ წევრები კრულვით იხსენიებდენ მთავრობას, რომელიც მიემგზავრებოდა საზღვარ-გარეთ მათ პოლიტიკისათვის. ჩვენ შეგვეძლო მოგვენახა გამოსასვლელი გზა შექმნილ მდგომარეობიდან; საჭირო იყო ორიენტაციის გამოცვლა, საჭირო იყო დებულების „დასავლეთის იმპერიალისტები მე მირჩევნია აღმოსავლეთის ფანატიკოსებს“ შეცვლა „მე მირჩევნია აღმოსავლეთის ფანატიკოსები, რუსეთის პროლეტარიატის წარმომადგენლები,—დასავლეთის იმპერიალისტებზე“.

და საქართველო, რუსეთის პროლეტარიატთან მჭიდროთ შეკავშირებული, გადარჩებოდა გაძარცვას, ანტანტის იმპერიალისტების დაცვას, დაუსრულებელ ომებს მეზობელ ხალხებთან ქვეყნის განადგურებას და სხვა და სხვა.

ჩვენი გაზეთები ავრცელებდენ საშინელ ცნობებს საბჭოთა რუსეთის შესახებ, ამ ცნობებს ამზადებდენ იმისთვის, რომ ჩაესახათ ხალხში სიძულვილი რუსეთის პროლეტარიატისადმი.

ვისთვის იყო ყველაფერი ეს საჭირო?

ჯერ კიდევ 1921 წლის დაუვიწყარ თებერვლის დღეებში, როდესაც ჩვენ ჩამწყვდეული ვიყავით ბათომში და ყოველ საათს ველოდით საბჭოთა ხელისუფლებას, ამ დროსაც ჩვენ გაზეთებში ათავსებდენ უცნაურ ცნობებს თავისუფლების მოედანზე ხალხის ჩამოხრჩობაზე, სასახლის წინ სტუდენტების დახვრეტაზე, დასახვრეტ მუშების სიებზე და სხვა. ჩვენი გაზეთები ბეჭდავდენ დაუჯერებელ ხმებს, თუმცა იცოდნენ, რომ რამდენიმე დღის შემდეგ მათი სიცრუე გამოაშკარავებული იქნებოდა. საქმე იქამდის მივიდა, რომ გაზეთებს არავინ უჯერებდა. ეს სჩანს იქიდან, რომ ამ დროს ეროებისა და ქალაქების წარმომადგენელთა ყრილობამ ბათომში ამოირჩია ინფორმაციის საგანგებო ბიურო; ბიუროს დაევალა მოეწყო კავშირი ჩვენ მიერ დატოვებულ ტერიტორიასთან ტყვეების საშუალებით და ამგვარათ მოეწოდებია უფრო სწორი ცნობები წითელ-არმიის მიერ აღებულ ადგილების მდგომარეობის შესახებ.

საქართველოს „დემოკრატიულ“ წრეებში საბჭოთა ხელისუფლება შეხვდა შოვინიზმს, უნდობლობას საბჭოთა ხელისუფლებისა და რუსეთისადმი სიძულვილს.

ამის მიზეზი იყო ის, რომ რუსეთში ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებამდე იყო სამხედრო კომუნიზმი, რომელიც აშინებდა საქართველოს წვრილ ბურჟუაზიას და აგრეთვე იმ პროპაგანდაში, რომელსაც საქართველოში აწარმოებდენ 1917 წლის ოქტომბრიდან 1921 წლის თებერვლამდე. საბჭოთა ხელისუფლება იმ დროს შემოვიდა საქართველოში, როდესაც რუსეთში კომუნისტურ პარტიაში ისახებოდა ერთგვარი გარდატეხა და ფეხს იდგამდა წინანდელ პოლიტიკის გამოცვლის ტენდენცია.

ჩვენ გვქონდა ძალიან კარგი დრო საბჭოთა ხელისუფლებასთან შეთანხმების მისაღწევად. ჩვენ გვაძლევდენ საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნების სრულ გარანტიას. ამას გარდა ახალი ეკონომიური პოლიტიკა და სამხედრო კომუნიზმის უარყოფა უკვე ამზადებდენ ნიადაგს შეთანხმებისათვის, საჭირო იყო მხოლოდ დებულების „დემოკრატიზმის გზით სოციალიზმისაკენ“ უარყოფა.

მაგრამ ჩვენ არ უარვყავით ეს ფორმულა, რომელიც ამ ჟამად რუსეთის პროლეტარიატისათვის, როჟკოვის თქმით, დიდ უტოპიას წარმოადგენს.

— ამ ჟამად რუსეთში არ არის უფრო დიდი უტოპია, ვიდრე დემოკრატიული რესპუბლიკა, სწერს როჟკოვი, ძველი მენშევიკი, რომელმაც ახლა უარყო მენშევიზმი (ის რევოლიუციამდე დიდი ხნით ადრე ბოლშევიკი იყო)—მის განხორციელებისთანავე ყველაზე საშინელ შავი რეაქციის ჭუჭყიანი ტალღა წალეკავდა რუსეთს და წაიღებდა რევოლიუციის ყველა მონაპოვრებს.

ამ რიგად, როდესაც მენშევიკები განაგრძობენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლას უკვე დახავსებულ პრინციპებისათვის, ისინი მოხვდენ რეაქციონერების ბანაკში: სამხედრო ცენტრი, რომელიც გამოააშკარავა საბჭოთა ხელისუფლებამ, შესდგებოდა სულ თავადებისა და აზნაურებისაგან, მეფის მოხელეებისა და წარჩინებულებისაგან. და რა თქმა უნდა, რომ გაემარჯვა ამ სამხედრო ცენტრს, ის არაფერს ხეირს არ დააყრიდა პროლეტარიატს. ტფილისის გუბერნიის აზნაურების ყოფილი მარშალი, მეფის კამერგერი კ. აფხაზი და სხვა გენერლები, რომლებიც იყვენ სამხედრო ცენტრში და პარიტეტულ კომისიაში, ისე შორს დგანან სოციალიზმისა და პროლეტარიატის ინტერესებისაგან, როგორც ცა დედამიწისგან. იმის ნაცვლად, რომ შეთანხმებულიყო იმ პარტიასთან, რომელიც დგას პროლეტარიატის ინტერესების დაცვის ნიადაგზე, საქართველოს სოციალ-დემოკრატია შეუერთდა ეროვნულ დემოკრატებს და აშკარა რეაქციონერებს, რაც აბსოლიუტურად მიუღებელია სოციალისტისათვის.

აი აქ გამართლდა პლეხანოვის სიტყვები, რომლითაც მან სიკვდილის წინ მიმართა კრასნოვის რაზმის ერთ ახალგაზრდას: „ყოველი ძალმომრეობითი ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიიყვანს მის დემოკრატიულ მოწინააღმდეგეებს ძველ საზოგადოების მომაკვდავ ელემენტებთან კავშირამდე“.

VIII

ადრე თუ გვიან, ჩვენ უნდა შეგვეფასებია შექმნილი მდგომარეობა და გაგვესინჯა ჩვენ მიერ განვლილი გზა. ეს ჩვენ უკვე ვქენით. და ამან გამოიწვია ის, რომ მენშევიკურ პარტიიდან მასებით გამოდიან მისი ყოფილი წევრები.

რუსეთში პარტიიდან გამოვიდენ ისეთი გამოჩენილი წევრები, როგორიც არიან მარტინოვი, როჟკოვი, პლესკოვი, გვოზდევი, სემკოვსკი, ეჟოვა და სხვ. ჩვენში ამ პარტიას ჩამოშორდენ თევზაია, გელეიშვილი, ფარნიევი და ამ პარტიის ზოგიერთი სხვა ცნობილი წევრები.

ეს მოვლენა, უეჭველათ, დიდი ყურადღების ღირსია. ის გარდატეხა, რომელიც ამ ხალხში მოხდა, ამტკიცებს იმას, რომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ყველაფერი რიგზე არ არის; დამახასიათებელია, რომ გარდატეხა მოხდა იმათში, რომელნიც საბჭოთა ქვეყანაში იმყოფებიან; ისინი ახლოს გაეცვნენ საბჭოთა ხელისუფლების მოღვაწეობას და პოლიტიკას, ღრმა ანალიზი გაუკეთეს შექმნილ მდგომარეობას (მაგალითად მუშა ფარნიევმა) და მენშევიზმის ტაქტიკის სრულ უარყოფამდი მივიდენ.

გამოვიდენ რა მენშევიკურ პარტიიდან, საქართველოს მენშევიკებმა ჯერ კიდევ ვერ მონახეს თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის ახალი გზა.

პოლიტიკის გარეშე დადგომა, რასაკვირველია, არ შეუძლია იმ პირებს, რომელთაც მრავალი წლები უმუშავნიათ რევოლიუციონურ ასპარეზზე.

წინანდელი ტაქტიკის შეცვლის შემდეგ უეჭველათ უნდა გამოინახოს მუშაობის ახალი გზა, ახალ, უფრო გაშინჯულ და თანამედროვე მდგომარეობისათვის შესაფერ საფუძვლებზე მთელი ქვეყნის ინტერესებისათვის, საქართველოს მუშათა კლასის და გლეხების ინტერესებისათვის, ეს გზა მე შემდეგი სახით მაქვს წარმოგენილი:

დემოკრატიული გზა სოციალიზმისაკენ უეჭველათ უარყოფილი უნდა იქნეს. უკვე წავიდა ის დრო, როდესაც რევოლიუციონურ სოციალ-დემოკრატიისათვის საჭირო იყო სხვისი ინტერესებისათვის ბრძოლა, რომ მოემზადებია ნიადაგი ბურჟუაზიული რევოლიუციისათვის.

სოციალიზმის განხორციელება ჩვენ არა შორეულ, აბსტრაქტიულ, არამედ დროის პრაქტიკულ ამოცანათ უნდა ჩავთვალოთ.

რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სოციალიზმი განხორციელებული იქნეს ერთი ან ორი წლის შემდეგ, მაგრამ თვითეული ჩვენი ნაბიჯი სოციალიზმის პრაქტიკულ ამოცანებიდან უნდა გამომდინარეობდეს და უნდა წარმოადგენდეს სოციალიზმისადმი დაახლოვების მომენტს.

პროლეტარიატისათვის გამარჯვების შესანარჩუნებლათ, საჭიროა ყველა რევოლიუციონურ-მარქსისტულ ელემენტების თანამშრომლობა.

ეს უნდა გაიგონ ყოფ. მენშევიკებმა, მუშათა კლასის და მისი იდეოლოგიური ხელმძღვანელების გაერთიანება მით უფრო საჭიროა ეხლა, როდესაც რეაქციონური ბურჟუაზია სულდგმულობს საერთაშორისო ფაშიზმის იმედით.

და ის, ვინც არღვევს ამ მთლიანობას—ის მუშათა კლასის მტერია.

საბჭოთა ხელისუფლების ახალი ეკონომიური პოლიტიკა, უეჭველათ, არის რუსეთის სინამდვილის შეგუება ეხლა მიზნათ დასახულ სოციალისტურ შესაძლებლობებთან, ამიტომ მისთვის მხარის დაჭერა სავალდებულოა ყველა იმ პარტიებისათვის, რომელნიც სოციალიზმის განხორციელებისთვის მუშაობას დღის პრაქტიკულ ამოცანათ სთვლიან, შეიძლება მე მიპასუხონ:

რატომ დასავლეთ-ევროპის პროლეტარიატი არ მიდის იმ გზით, რომლითაც რუსეთი მიდის, თუ ეს გზა სწორია.

მაგრამ სანამ ამ კითხვაზე უპასუხებდეთ, საჭიროა რუსეთის და ევროპის სახელმწიფოების საზოგადოებრივი განვითარების ეტაპებისა და აგრეთვე რევოლიუციონური ამბების მსვლელობის გამორკვევა.

რუსეთის რევოლიუცია მოხდა განსაკუთრებულ პირობებში. ჩვენ საქმე გვქონდა ხალხის მასების უკიდურესად გალატაკებასთან იმპერიალისტურ ომის შემდეგ. და ეს ჩამოგლეჯილი, უკიდურესობამდი მიყვანილი მასა აღსდგა აბსოლიუტიზმის წინააღმდეგ. მისი ჩამოგდების შემდეგ, ჩვენში არ იყო კაპიტალიზმი, რომელსაც შესძლებოდა ძალა-უფლების თავის ხელში შენარჩუნება. კაპიტალიზმი კი არა, შემამულეების ხელი მიილტვოდა ძალა-უფლებისაკენ. მაგრამ უფრო ძლიერი პროლეტარიატი და გლეხობა აღმოჩნდა და იმათ დაიპყრეს ძალა-უფლება. და, რასაკვირველია, პროლეტარიატს, დაიპყრო რა მან ძალა-უფლება, არ შეეძლო ემუშავნა კერძო კაპიტალის გაძლიერებისათვის, რომელმაც ის უნდა დაიმონოს. ის მუშაობს სახელმწიფო კაპიტალიზმის გაძლიერებისათვის, ის აღდგენს სახელმწიფო მრეწველობას და ქმნის იმ მატერიალურ დოვლათს, რომელიც ქვეყანას სჭირია—ევროპაში პროლეტარიატს ჯერ კიდევ არა აქვს ძალა-უფლება. და როდესაც ის დაიპყრობს ძალა უფლებას, ის თავის მჩაგვრელთა ხელიდან მიიღებს აყვავებულ მრეწველობას.

რუსეთში პროლეტარული რევოლიუცია მოხდა მრეწველობის დაშლისა და ქვეყნის გაღატაკების პირობებში. და თვით პროლეტარიატს უხდება თავის ხელით აღადგინოს ეს მრეწველობა და შექმნას ბაზა სოციალიზმისათვის.

და, რასაკვირველია, არ შეეძლო რუსეთის პროლეტარიატს პროლეტარულ რევოლიუციის წინ ეთქვა:

— არა, მე მოვიცდი იმ დრომდი, სანამ ჩვენი ბურჟუაზია არ გამაგრდება.

ეს სისულელე იქნებოდა.

აი განსხვავება საზოგადოებრივ განვითარებაში ჩვენში და საზღვარგარეთ.

მარქსისტული ელემენტების მჭიდრო თანამშრომლობა პროლეტარიატის დიქტატურის ცნობის პლატფორმაზე საჭიროა პროლეტარიატის გამარჯვების განსამტკიცებლათ.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ბევრს დაებადა აზრი ჩვენი ტაქტიკის გადახედვის შესახებ, მაგრამ, სამწუხაროთ, მათ სცხვენიათ ამის გამოთქმა.

თქვენ ყველაფერში გეთანხმებით,—მეუბნებოდა მე ერთი მენშევიკთაგანი,—მაგრამ ამის აღიარება შეიძლება სხვანაირათ გაიგონ. იტყვიან, რომ მე მივეკედლე ბოლშევიკებს პირადი ინტერესებისათვის და სხვა.

ასეთი მოსაზრება აბსოლიუტურათ მიუღებელია. რევოლიუციონერს არ შეუძლია ასე მსჯელობა. თუ ჩვენ დავრწმუნდით, რომ ჩვენი წინანდელი ტაქტიკა შემცდარია, ამაზე ხმამაღლა უნდა ვსთქვათ.

რევოლიუციის გამარჯვება—უმაღლესი კანონია, და ამ უმაღლეს კანონის წინ უნდა დაჩუმდეს პირადი თავმოყვარეობაც და საკუთარ შეცდომების ცნობის უხერხულობაც.

ა. რუხაძე.

მუშათა ცხოვრება



ამხ. ვ. როინიშვილი

ამხ. ვასო როინიშვილს

ოცდა ხუთ წლის შენი შრომისათვის
ნამდვილ პროლეტარ.ს გიძღვნი სალამსა,
და უსურვებ მე გამარჯვებას
ჩაგრულს, წამებულს შენსა კალამსა.

ვინ მოსთვლის იმას, თუ შენ წარსულში
რა ტანჯვა, ჩაგვრა გარდაიტანე:
შრომა დეპოში, ჯდომა ციხეში
შენ გამოსცადე და აიტანე!..

ამხანაგების გადასარჩენად
დიდი უნარი გამოიჩინე
და შავრაზმელებს, ჩვენ სისხლის მსმელებს
ვინც კი მოასწარ, გადაარჩინე.

ამხანაგებმაც შენ დაგიფასეს
შრომა და ღვაწლი—ნაყოფიერი,
და შრომის დამცველს შენსა კალამსა
არ დაივიწყებს მუშა მშრომელი.

მუშკორი გიორგი ჩარხიშვილი.

ამხ. ვ. როინიშვილს

მრავალი ტანჯვა გამოგივლია
წარსულ ცხოვრების უკუღმართ გზაზე;
მაგრამ გულ-წრფელსა მიზანი შენი
არ შეგიცვლია არას დროს სხვაზე!..

დევნა, წამება, სიმშილი მწარე
კვალში დაგდევდა განუშორებლად;
და ულმობელი ბოროტი ძალა
მახეს გიგებდა დაუნდობელად;

მაგრამ მოყვარულს მშრომელი ხალხის
მუდამ მუშისკენ გიწევდა გული
და დღესაც მასთან ეძლევი ლხენას,
რომ განამტკიცო ეგ სიყვარული!

მუშა-მგოსანო, შენი სიმღერა
შვებით ატკბობდა მშრომელთა სმენას,
თუმც დღემდი იყავ ტანჯულ-დევნილი,
დღეს საამაყო ეძლევი ლხენას!..

შენს მხარეზეა ქვეყნის ჩაგრულნი,
დღეს ძალას იკრებს მუშა-მწერლები
და სინათლეზე გამოაქვთ ყველას
თავის ტანჯული ნაწარმოები!..

მაშ, გაიხარე, ტანჯულო ძმაო!
ბრძოლა განაგრძე ცხოვრების გზაზე;
ჩაგრული ხალხი მოძმედ მიგაჩნდეს,
იმედს სახავდე მათ მომავალზე!..

მუშა ხიო ხიდისთაველი.

ამხ. ვ. როინიშვილი.

დღეს ნაძალადევის თეატრში იმართება ჩვენი მუშკორის, ამხ. ვასო როინიშვილის საღამო.

ამხ. როინიშვილი მშრომელთა ოჯახიდანაა გამოსული. ის ნამდვილი მუშაა.

ამხ. როინიშვილი ხშირად სწერს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე კორესპოდენციებს მუშათა ყოფა-ცხოვრებიდან, ის თავისი მუშური კალმით აშუქებს მუშებისათვის საჭირბოროტო საკითხებს და შეძლებისდაგვარად ემსახურება მშრომელთა ინტერესებს.

ამხ. როინიშვილი მუშათა მგოსანიცაა. მისი ლექსი, მოწოდებაა პროლეტარულ ბრძოლისა და შემოქმედებისაკენ. მისი პოეზია მუშათა კლასს უნერგავს საუკეთესო მომავლის იმედებს.

ამხ. როინიშვილი ძველი რევოლიუციონერი მუშაა, რომელსაც დიდი და ხანგრძლივი ტანჯვა-წამება გადაუტანია შავ-ბნელ რეაქციასთან ბრძოლაში.

ამ ჟამად ამხ. როინიშვილი საკმაოდ შესულია ხანში. ის ითვლება პენსიონერად.

ამხ. როინიშვილი დიდ ნივთიერ ხელმოკლეობას განიცდის. მას ესაჭიროება დახმარება და გამხნევება.

იმედია, რომ მუშათა კლასი სათანადოდ დააფასებს მის ღვაწლს და მხედველობაში მიიღებს მის დღევანდელ გაჭირვებულ მდგომარეობას, ის ხალისით გამოცხადდება ამხ. როინიშვილის საღამოზე და თავისი წვლილის გაღებით და თანაგრძნობის გამოცხადებით შეუმსუბუქებს მას ცხოვრების მძიმე უღელს.

ეს პირველი საჯარო პატივისცემაა მუშკორისა ჩვენში. მშრომელი მასსა დაამტკიცებს, რომ მას კარგად ესმის მუშკორის დიდი როლი საბჭოთა პრესასა და აღმშენებლობაში.

ჩვენი მხურვალე სალამი ამხ. როინიშვილს.

მუშა-მგოსანი ვასო როინიშვილი

(მისი 25 წლის მოღვაწეობის იუბილეს გამო).

დღეს ნაძალადევის საზაფხულო თეატრში გაიმართება მუშა კორესპონდენტის და მგოსნის ვასო როინიშვილის საღამო. ამხ. როინიშვილი ძველი მუშაა, რომელიც პირველად (1898 წ) მუშაობდა ქ. ქუთაისში, თამბაქოს ქარხანაში. 1899 წელს ის ჩამოვიდა ქ. თბილისში, სადაც დანიშნულ იქნა რკინის გზაში მატარებლების შემყენებლად. ამხ. ვასო არის მუშა-მგოსანი, რომლის კალამიც მარტო მუშებს უმღერს და ეალერსება.

მახსოვს ნიკოლოზის დრო, როდესაც ქართულ გაზეთებს მარტო ქართველი თავად-აზნაურულ და ბურჟუაზიულ ინტელიგენცია განაგებდა. მაშინ მუშების ნაწერს სრულიადაც არ ღებულობდნენ რედაქტორები. მათთვის წარმოუდგენელიც იყო მუშების წრიდან მუშა-მგოსნების, მწერლების გამოსვლა, რადგანაც მათთვის შეკრული იყო ყოველივე კულტურულ წინ მსვლელობის გზა.

არც მენშევიკების დროს ჰქონდათ მუშა-მწერლებს მუშური მწერლობის განვითარების საშუალება. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მუშებს ეძლევათ დიდი ყურადღება და ადგილიც ყველა ჟურნალ-გაზეთებში. ამიტომ ამ უკანასკნელ დროში მუშა-მწერალთა რიცხვმაც საგრძნობლად იმატა და მათ შორის არის ჩვენი ვასო როინიშვილიც. წინედ კი, ძველი რეჟიმის დროს, ამხ. ვასო სწერდა და ბეჭდავდა სხვა და სხვა გვარ მოთხრობებს და ლექსებს, რომელთაც სცემდა ცალკე კრებულებად ან და ფურცლებად. დიდი ომიანობის დროს (ე. ი. 1914 წ.) მან დასწერა **„მეკვლევი“**, და **„ოქროს ღილი“**. 1917 წელს მან დასწერა **„მარია სპირიდონოვას წამება“**, ამ ბოლო ხანებში გაზეთ „რკინის გზელში“ დაიბეჭდა მისი ისტორიული მოგონება ამხ. არაქელას, გიორგი ჩხეიძის და ზაქარია ჩოდრიშვილის პარტიულ და ორგანიზაციულ შორეულ წარსულში მუშაობის შესახებ ამხ. ვასო სიამოვნებით შესცქეროდა და ხელს უწყობდა 1893 წ. ქართულ სახალხო თეატრის ჯერ კიდევ სუსტ მოღვაწეობას და რასაც მას დაავალებდნენ მაშინდელი მოწინავე ამხანაგები, ის მას პირნათლად ასრულებდა და ბოლოს ამხ. ვასომ ისე შეიყვარა ეს თეატრალური საქმიანობა, რომ როდესაც ის გადაყვანილ იქნა სადგურ **ბალაჯარაში** სამუშაოდ, ჩვენი ვასო იქ მართავდა ხოლმე ქართულ წარმოდგენებს. დღეს ვასო როინიშვილი გაზეთ „კომუნისტ“-ის მუშა-კორესპონდენტია.

როგორც ინვალიდი შრომისა, საერთო კასის წევრად ითვლება; მას არა აქვს არავითარი შემოსავლიანი წყარო, გარდა თავისი გულუბრყვილო მუშური კალმისა და ამიტომ ის დღეს დიდ გაჭირვებას განიცდის. ცხადია, რომ ძველ რეჟიმას დროს მგოსნები სიმშილ-სიცივისგან იტანჯებოდნენ და დაჭლექიანებული, ღონე მიხდილნი ადრე ესალმებოდენ ისინი წუთისოფელს. თითქმის სულ ყველას სიმშილში ამოხდათ სული... ეს ხდებოდა ძველი წესწყობილების და ბურჟუების ბატონობის დროს, მაგრამ?!.. დღეს ესე არ ხდება მუშების ქვეყანაში და მუშური ხელისუფლება მტკიცედ იცავს მუშათა ინტერესებს. იმედია, ამხ. ვასოს მიექცევა შესაფერისი ყურადღება, ვისგანაც ჯერ არს იმედი გვაქვს დღეს ვასო როინიშვილს დააფასებს ღირსეულად თბილისის მშრომელი ხალხი; ჩვენს ვასოს კარგათ იცნობს ჩვენი ძველი მუშების უმრავლესობა და განსაკუთრებით კი რკინის გზის მთავარ სახელოსნოს მუშები. დასასრულ უსურვებთ ამხ. ვასოს ჯანმრთელობას და ენერგიულ მუშაობას მშრომელი კლასის საკეთილდღეოდ.

მუშა-მსახიობი გიორგი ჯაბაური.

სალამი ამხ. ვასო როინიშვილს!

ჩვენ, რკინის გზის სადურგლო ცეხის მუშები, სალამს უძღვნით და ულოცავთ მუშა მგოსანს, ვასო როინიშვილს, საიუბილეო სალამოს და უსურვებთ მას გამარჯვებას, რათა კიდევ დიდ-ხანს იმუშაოს მისმა კალამმა მუშების „სასარგებლოდ“.

მუშების მონდობილობით მუშა არ. ხაფავა.

სალამი ძვირფას მუშკორს

მეორე რაიონის „კინო-თეატრებ“-ის რაიკომის მონდობილობით გილოცავთ საზეიმო დღეს, ამხ. ვასო, როგორც დაუღალავ მუშა-მგოსანს, მშრომელთა კლასის მოჭირნახულეს და გისურვებთ კიდევ ხანგრძლივ შრომას მუშათა ხელისუფლების წითელ დროშის ქვეშ და იმედიც გვაქვს, რომ აქ შენს შრომას გააორკეცებ მშრომელთა კლასის საბედნიეროდ მომავალშიც. მასთანვე მადლობას უძღვნით გაზეთ „კომუნისტი“-ს რედაქციას სრულ თანაგრძნობის და საზეიმო სალამოს ხელისშეწყობისათვის.

რაიკომის წევრი—გ. მ—შვილი.

პენსიონერები და წყლის გადასახადი!

კარგა ხანია, რაც ტფილისის მცხოვრებლები წყლის ფულს საქონლის კურსის მიხედვით იხდიან.

ეს გადასახადი ხშირად იმდენად დიდია, რომ მუშა-მოსამსახურეთათვისაც ძნელი გადასახადი რჩება.

რა უნდა ითქვას პენსიონერებზე?!. სოციალ-უზრუნველყოფის სახ. კომისარიატის პენსიონერები იღებენ თვეში ერთ მილიონ მანეთს, დამზღვევ კასის კი 3—15 მილიონამდე.

ეს პენსიები სრულებით არ აკმაყოფილებს პენსიონერების მინიმალურ მოთხოვნილებებსაც კი და ეს ითქმის უკანასკნელ პენსიონერებზედაც.

რაღა უნდა ვსთქვათ მილიონიან პენსიონერებზე.

მათ ეს ფული ორ-სამ დღეს არ ყოფნის და დანარჩენი დღეები ღვთის ანაბარად უნდა დარჩენ.

ტფილისის აღმასკომის წყალსადენს არავითარი შეღავათი არა აქვს ასეთი ხალხისათვის.

იგი წყლის ფულს ისე იხდის, როგორც ვაჭარი, ან სხვა რომელიმე მოქალაქე.

პენსიონერები უნდა განთავისუფლებულ იქნას წყლის ფულის გადასახადისაგან.

ამით გამოწვეული ზარალი ან თვითონ აღმასკომმა უნდა აანაზღაუროს, ანდა ტფილისის მოქალაქეებზე პროპორციულად უნდა განაწილდეს.

მუშკორი კავი.

წაღვერის სახელმწიფო სანატორიუმი.

წაღვერის სანატორიუმი მოთავსებულია მღებროვის ყოფილ სააგარაკო სახლში, რომელიც საუკეთესო შენობად ითვლება მთელ წაღვერში.

ამ სანატორიუმში ორმოცდა ხუთი ავადმყოფის ადგილია, მაგრამ ავადმყოფები სივიწროვეს განიცდიან, რადგანაც თითო პატარა ოთახში სამ-სამი კაცია მოთავსებული. სასმელ-საჭმელი ყველას საკმაოდ გვეძლევა. აქ ავადმყოფი იღებს დღეში გირვანქა ნახევარ პურს, სამ კვერცხს, სამ კრუჟკა რძეს, კარაქს, ჩაის შაქრითურთ სადილს, კაკაოს და ვახშამს, რითაც ავადმყოფები ძალიან კმაყოფილნი არიან.

ამ დღეებში აქ ჩამოვიდა ჯანსახკომი, ამხ. კუჭაიძე და რაც კი ავადმყოფებს აკლდათ, ყველაფერი მოაწესრიგა. მაგრამ აქ ერთ გაუგებრობასაც აქვს ადგილი; ჩვენს საავადმყოფო ფურცელში ნათქვამია, რომ ავადმყოფები თავიანთ ხარჯზედ მოდიან მხოლოდ ბორჯომამდე—სამწუხაროდ კი ავადმყოფებს ბორჯომიდან—წაღვერამდე და ცემამდეც კი უხდებათ თავიანთ ხარჯზედ მოგზაურობა.

საჭიროა ეს გამორკვეულ იქნას, თუ რად ხდება ასე.

ჟურნალ-გაზეთები ჯერ-ჯერობით სანატორიუმში არ მოგვეპცევა. იყიდება კერძოდ, მაგრამ ძალიან ძვირია. მაგ. „კომუნისტი“ „მუშა“ და სხვა გაზეთებიც 150 ათას მანეთად იყიდება თითო ცალი. ეს ფასი კი ზოგიერთ ჩვენი ავადმყოფისათვის ხელ მიუწდომელია.

მუშკორი ნიკო მკერვალი.

ცილებელ საჭიროებად შემოიღოს სახალხო კვების კავშირის წევრების-მუშებისათვის კვირაში ერთხელ დასასვენებელი დღე.

მუშათა ახალგაზრდათა შორის.

სამდივნომ ამხ. მარკოზს დაავალა შეადგინოს საერთო გეგმა ახალგაზრდათა შორის მუშაობის შესახებ და ამის შესახებ მოლაპარაკება გამართოს ახალგაზრდათა კომკავშირთან.

დამატებითი შვებულებების შესახებ.

სამდივნომ შესაძლებლად სცნო დამატებითი შვებულებების მიცემა იმ ტვირთმზიდავ მუშებისთვის, რომლებიც მუშაობენ შავი ქვის ამოღებაზე, დამატებითი შვებულება განისაზღვრება ორი კვირით.

როსტოვის მუშფაკელებს.

სამდივნომ როსტოვის მუშფაკელებს საერთო ბინაში დაუთმო უფასოდ 30 ადგილი.

პროფკავშირთა წარმომადგენლობის წესდება.

სამდივნომ დაამტკიცა წესდება პროფკავშირთა წარმომადგენლობის შესახებ რესპუბლიკის სასწავლებლებში, რომლებიც განათლების კომისარიატის განკარგულებაში იმყოფებიან.

გაზეთ „მუშა“-ს ხარჯთ-აღრიცხვა.

სამდივნომ დაადგინა: დაავალოს ამხ. ყურულაშვილს, რუხაძეს და საყვარელიძეს გადასინჯოს გაზეთ „მუშა“-ს ხარჯთ-აღრიცხვა და შეძლებისამებრ შეამოკლონ იგი.

მუშკორების დღე.

სამდივნომ წინადადება მისცა ყველა კავშირების ცენტრალურ გამგეობებს, რომ მათ ხელი შეუწყონ მუშაკორესპონდენტების დღის ჩატარებას და ამ თავითვე დაიჭირონ შესაფერი სამზადისი.

წითელ ჯარში

შეჯიბრება. ქართულ დივიზიის უმცროს მეთაურთა მოსამზადებელ სკოლაში პოლიტ-მეცადინეობა მიმდინარეობს წარმატებით.

ერთი კვირის წინ იქ მოხდა შეჯიბრება პოლიტ-ცოდნაში. შეჯიბრების თემა იყო: საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია. წითელ-არმიელები მომზადებულნი აღმოჩნდნენ. კარგი ცოდნისათვის 20 წ. არმიელი იქნა დაჯილდოვებული.

სანიტარული საათები. მეორე ლეგიონში ივნისის განმავლობაში ჩატარებულ იქნა 10 სანიტარული საათი. საათებს წითელ-არმიელები დიდის ხალისით უსმენდენ და მრავლად ესწრებოდენ.

შაბათობა საკავშირო ასეულში. შაბათს, 7 ივლისს საკავშირო ასეულში გაიმართა შაბათობა. შაბათობაში მონაწილეობას ღებულობდნენ ყველა წითელ-არმიელები, მეთაური და პოლიტ-შემადგენლობა. შაბათობას ამ ნაწილში დიდის ინტერესით და ხალისით ეკიდებიან.

ინსტრუქციისათვის. პარასკევს, 12 ივლისს, ქალ. სურამსა და სუმბათოვოში გაიგზავნა საორგანიზაციო-საინსტრუქტორო ქვე-განყოფილების უფროსი ამხ. თალაკვაძე, რომელსაც დავალებული აქვს პოლიტ-განყოფილებიდან მოახდინოს რევიზია და მისცეს სათანადო დირექტივები და ინსტრუქციები პარტ-პოლიტ-განმანათლებელ დარგში.

კედლის გაზეთი. წითელ-არმიელთა ცენტრალური კლუბი ფიქრობს გამოუშვას კედლის გაზეთი.

წ.—კ. უცოდინართა ლიკვიდაციისათვის. წერა-კითხვის შესწავლის საქმე ცხენოსან ლეგიონში მიდის ჩქარის ტემპით. ლიკვიდაცია მოხდება 1 სექტემბრისათვის.

დეზერტირობის წინააღმდეგ. ყველა ნაწილებში ტარდება კამპანია დეზერტირობის წინააღმდეგ, რაშიაც წითელ-არმიელები ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას.

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტ. სადგურის საქმის მდგომარეობა

სადგურის ფინანსიური მხარე.

ტფილისის აღმასკომის სახელით დაიდო ხელშეკრულებას. ს. რ. კავშირისფინსახკომთან 750.000 მან. ოქრ. სესხის ასაღებათ, სესხი მიცემულია მეტად მცირე პროცენტებში (4 პროცენტი), რომელიც უნდა გადახდილ იქნეს სესხთან ერთად 1930 წლის ვადაზე, ეს თანხა უკვე მიღებულია.

18.000—35.000 ცხენის ძალის 4 ტურბო—გენერატორით მთელი ტფილისის ელექტ-ხაზის განახლებით, სადგურის და საექსპლოატაციო ბინების მოწყობით—მთელი სადგურის ღირებულება აღწევს 3 ნახ. მილიონ მანეთს (ოქროთი).

ამ სავარაუდო ხარჯ-აღრიცხვიდან „კომზაგესი“-ს განკარგულებაში რეალურად არის 1 მილიონი მანეთი (ოქროთი) განზრახულია მოკლე ხანში საობლიგაციო სესხით 1 მილიონ მანეთის აღება., რაც შეეხება დანარჩენ თანხებს, იმედია, რომ იგივე ფინსახკომი კიდევ გაიღებს დამატებით სესხებს საქმის გაფართოების და გაძლიერებისთანავე, ან შემდეგ.

სადგურის ტეხნიკური მოწყობილობის მხარე.

ელექტრო-მექანიკური მოწყობილობა, რომელიც უნდა შეძენილ იქნეს დაახლოვებით ღირება 1.200.000 მან. ოქროთი. ამ მოწყობილებასთან გენერატორები უნდა აშენდეს ხარკოვის და პეტროგრადის ქარხნებში, ხოლო ტურბინები პეტროგრადსა და შვეციაში.

ამ ჟამად ტეხნიკური პირობები შეკვეთების მისაცემად დამზადებულია და ამ სამი კვირის წინედ თედო ღლონტი უკვე გაემგზავრა მოსკოვში საბოლოო ხელშეკრულების ხელის მოსაწერად.

შვეციაში საქმის მეთვალყურეობისათვის გაემგზავრა ნიკო კეკნაძე და ინჟინერი ვაწაძე.

ადგილობრივი მუშაობა.

აქ, ზემო ავჭალაში, სწარმოებს ენერგიული და გაცხოველებული მუშაობა. უკანასკნელ ორი თვის განმავლობაში მუშათა რაოდენობა 300 კაციდან ავიდა 800 კაცამდე, ხოლო ახლო მომავალში ეს რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება.

არხის გასაყვან ადგილას, სადაც ხევია, ამ ჟამად კეთდება წყლის დასაგროვებელი აუზი; ამავე დღეებში მიწის მუშაობის გასაძლიერებლად ამოძრავებული იქნება მარიონის სისტემის ექსკავატორი, რომელიც ერთ საათში მოასწრებს 100 კაცის სამუშაოს გაკეთებას.

ადგილ. მუშაობის პირობები.

მოწყობილია ცეცხლის მქრობელი რაზმი, გაკეთებულია კარავები მუშების დასადგომად და საწყობებისათვის, მოწყობილია სასადილო, მექანიკური სახელოსნო, სახლები ტეხნიკური პერსონალისთვის, კანტორა და სხვა. მოწყობილია წყლის საქაჩავი გაყვანილია შოსე გზა სამი ვერსის სიგრძეზე, ჯერ-ჯერობით ზემოხსენებულ საქმეებზე დახარჯულია სულ 7.488 მანეთი ოქროთი, ხოლო მიწის მუშაობაზე 13,225 მან. ოქრ. გაკეთდა დროებითი ელექტრო-სადგური, გაყვანილია ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა და სწარმოებს სხვა მუშაობა პირველად სადგურის ასაგები ხარჯთ-აღრიცხვა 1 ნახ მილიონ მანეთ ოქროთი იყო ნავარაუდევი, მაგრამ შემდეგ აყვანილ იქნა 2 მილიონამდე, ხოლო ამ ჟამად სადგურის ენერგიის მომატების გამო, ხარჯთ-აღრიცხვა აღწევს 1 ნახ. მილიონ მანეთს ოქროთი. ამ ჯამში შედის საზღვარგარეთის მანქანებზე დადებული სავაჭრო გადასახადები, რომელიც წინად ნაანგარიშევი არ იყო „კომზაგესის“ საბჭომ მოიწონა დღემდე გაწეული ნაშრომი ჰიდრო-სადგურის ასაგებად.

ზემო ავჭალის ჰიდრო-სადგურის ამგებ კომიტეტმა ნოვოროსიისკიდან მიიღო 70 ათასი ფუთი პორტლანდური ცემენტი, რომლის უდიდესი ნაწილი უკვე გადმოზიდულია სამუშაო ალაგას, მცირე ნაწილი კი ბათომში იმყოფება.

თუ სადგურის აგებას რაიმე ხელის შემშლელი დაბრკოლება არ გადაეღობა, სადგური მოთავდება 1925 წლის გაზაფხულზე.

ტფილისის საერთო განათლების კურსებზე

სიმწიფის მოწმობის მისაღებათ, სადეპუტატო გამოცდები დამთავრდა. გამოცდებზე გამოცხადდა 113 მსმენელი, ამათში 12 კაცი გამოცდებს ექსტერნათ აბარებდა. აღნიშნული რიცხვიდან სიმწიფის მოწმობაზე ჩააბარეს გამოცდები შემდეგმა პირებმა: 1. ანდღულაძე ვასილი, 2. ბოკერია კონსტანტინე, 3. ბოკერია ნიკოლოზი, 4. ბურძგლა პროკოფი, 5. გვენცაძე თეოდორა, 6. გელიაშვილი პეტრე, 7. გელოვანი შალვა, 8. გოგოლაშვილი ვასილი, 9. დოლმაზაშვილი ნინო, 10. ვეშაპიძე ისაკი, 11. თევზაძე ნოე, 12. თაბუკაშვილი ვარდენი, 13. კიკვაძე ილარიონი, 14. კოჩახიძე სოფიო, 15. კვანტალიანი თამარი, 16. კვაჭაძე გრიგოლი, 17. კალანდაძე გრიგოლი, 18. კუცია ერმილე, 19. მგელაძე ირაკლი, 20. მეავანაძე თამარი, 21. მაჩაბელი ვახტანგი, 22. მამუკაშვილი ზაქარია, 23. მაჭავარიანი ვლადიმერი, 24. მაღრაძე გაბრიელი. 25, რობაქიძე ვიქტორი, 26. სიმონ-გულიანი იაკობი. 27. სოზაშვილი იოსები, 28. სარჯველაძე მარიამი, 29. სვანიძე რაჟდენი, 30. სვანიძე ნესტორი, 31, სარჩიმელია ლევანი, 32. ხავთასი ვასილი, 23. ხუციშვილი ქეთევანი, 34. ფირალიშვილი ილია, 35. ცინცაბაძე ვალერიანი, 36. ცომაია აკაკი, 37. შანიძე ნოე, 38. ქურდიანი ელიზბარი, 39. ჰუმბურიძე ალექსანდრე, 40. ჩხენკელი მარიამი.

ქრონიკა

— **იარაღები ჩათახის ქარხნისთვის.** უახლოეს მომავალში გერმანიიდან ჩათახის ქარხნისთვის მიიღებენ შეკვეთილ იარაღებს, მაშინებს და სხვა საჭირო საგნებს.

— **კურსების გახსნა კოჯორში.** ათ ივლისს კოჯორში გაიხსნა საქართველოს მაჰმადიან სკოლების მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსები. კურსები გახსნა განათლ. კომისარ. ინსტრუქტორმა ადი-ზადემ. გახსნას დაესწრო განათლების სახ. კომისარი ამხ. კანდელაკი.

— **საერთაშორისო კოოპერაციის დღე ბორჯომში.** საერთაშორისო კოოპერაციის დღემ ბორჯომში კარგათ ჩაიარა. ქალაქში გამართულმა მიტინგმა და კრებამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ამხ. ლენინს.

— **სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის.** პროფგანათლების მთავარ მმართველობამ სახელმწ. უნივერსიტეტის თხოვნის თანახმად, შუამდგომლობა აღძრა რუსეთის სახელმწ. გამომცემლობის წინაშე, რათა მან სისტემატიურათ გამოუგზავნოს ხოლმე ყველა მის მიერ გამოცემული სამეცნიერო წიგნები. ან უფასოთ ან ფასდაკლებით მაინც.

— **სამხ. რევტრიბუნალში.** სამხ. რევტრიბუნალის სესიამ, რომელიც იყო სურამში, გაარჩია შემდეგი საქმეები: მახნიაშვილის, წიკლაურის, და გარსევანიშვილის, რომელთაც ბრალდებათ დეზერტირობა და თვითეულს მიესაჯათ ორ ნახევარი წელიწადი ციხე.

— **შრომის ბირჟის ახალი შენობა.** შრომის ბირჟა ამ დღეებში გადადის ახალ ბინაზე მადათოვის ქუჩაზე.

— **კავკასიის ცალკე არმიის ტანთ-ვარჯიშობა.** 15 ივლისს, გაიმართება კავკასიის ცალკე არმიის სამხედრო სავარჯიშო სპორტი „ოლიმპიადა“.

— **სასოფლო-სამეურნეო გამოფენა მოსკოვში.** ტფილისში გავრცელებულია ხმები, ვითომც მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა გადადებულიყოს. საქართვ. საგამომფენო კომიტეტი, აუწყებს ყველას, რომ გამოფენა მოსკოვში შესდგება დანიშნულ დღეს, 15 აგვისტოს.

— **ქალაქის აბანოები.** ქალაქის აბანოების შემოსავალი ივნისის თვის განმავლობაში უდრის 1.447.633.000 მანეთს.

— **ი. სტალინის წიგნი.** გამოვიდა ქართულ ენაზე ი. სტალინის წიგნი „ნაციონალური საკითხი“.

— **მუშათა კოოპერაცია.** გამოვიდა № 4, 5, მუშათა კოოპერატივის ჟურნალი: „მუშათა კოოპერაცია“. ჟურნალში მოთავსებულია ლენინის სურათი და მისი წერილი კოოპერაციის შესახებ.

— **ტანთ-ვარჯიშობა საქართველოში.** პროფკავშირთა საბჭოს დადგენილებით, რესპუბლიკის ყოველ კუთხეში მოწყობილ იქნება წრეები და უჯრედები, რომელნიც ხელმძღვანელობას გაუწევენ ფიზიკურ კულტურის განვითარებას საქართველოში.

— **სამხატვრო ინსტიტუტი.** ამ დღეებში ტფილისში გაიხსნა სამხატვრო ინსტიტუტი. მსმენელთა რიცხვი უდრის 400 კაცს.

პროვინციაში

მოლითი (შორაპნის მაზრა)

კვირას. 2 ივლისს ახლად გახსნილ სახალხო სახლის დარბაზში, ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა სასარგებლოთ, ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ დადგმულ იქნა წარმოდგენა. შესავალში შინაარსიანი ლექცია წაიკითხა ირ. ფერაძემ ქართული თეატრის ისტორიის შესახებ, სამწუხაროდ ლექციას აკლდა პოპულიარობა, რის გამოც დამსწრე საზოგადოების უმრავლესობისათვის გაუგებარი დარჩა. შემდეგ დადგმულ იქმნა სიო ჭანტურიშვილის 3 მოქმ. დრამა „ბურუსი“, რომელმაც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. საუცხოვოდ შეასრულა მოხუც იმერლის როლი ბორ. ერმაშვილმა. კარგი იყვნენ აგრეთვე გრ. კიკნაძე და გ. ლამბაშიძე. კარგათ შეასრულა „ბაბიკო“-ს (ბაბიკო) როლი ელენე მხატვრიშვილის ქალმა, რომელიც მგონი პირველათ გამოდის სცენაზე; ეტყობა კარგი მომავალი ექნება, ამიტომ ვუსურვებ წინსვლას. ქეთო მხატვრიშვილი კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს, რომ ცოტა ხმის სიმდაბლე არ უშლიდეს ხელს, დანარჩენებსაც არა უშავდა-რა. დრამას მოყვა „ხოსიას ღელე“ და კუპლეტები „ვაი-ვუი“-ს ხმაზე, რომლებმაც ხალხი გაამხიარულა. ბოლოს იყო აუქციონი.

ცოტაოდენი საყვედური თეატრის გამგეობას, რომელმაც ვერ მიიღო საჭირო ზომები ხალხის დასაწყნარებლათ, რის გამოც ხანდახან არაფერი ისმოდა. იმედია მომავალში ამას ადგილი აღარ ექნება. დასასრულ მადლობის ღირსნი არიან ყოფილი აღმასკომის თავმჯდომარე სიმ. ცუცქირიძე და მისი ამხანაგები, რომელთაც ითავეს და მოლითში მოაწყვეს მშვენიერი სახალხო სახლი, სადაც დღეს გვაქვს საშუალება სისტემატიურათ წარმოდგენების გამართვისა.

განო არ—ძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

1923 წლის ივლისის 9.

აქციზის დაწესების შესახებ შირის კალოშებზე

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაწესებულ იქნეს აქციზი, როგორც ადგილობრივი წარმოებისა, ისე უცხოეთიდან შემოტანილი შირის კალოშებზე.

2. ფაბრიკიდან გასაყიდათ გამოშვებული შირის კალოშების თვითეულ წყვილზე დაწესდეს მტკიცე განაკვეთის აქციზი შემდეგი რაოდენობით: ა) ადგილობრივი წარმოების კალოშზე—0,0330 ჩერვონ. და ბ) უცხოეთიდან შემოტანილ კალოშებზე 0,0650 ჩერვონეცი.

შენიშვნა: საბავშვო კალოშისათვის გადახდევინებულ იქნება აქციზის ნახევარი.

3. აქციზი გადახდევინებულ უნდა იქნეს შირის კალოშის გამოშვების დროს მისი წარმოების ადგილიდან, საბაზისო საწყობიდან ან საბაჟოდან.

4. საფინანსო კომიტეტს უფლება ეძლევა, იმ ვადაზე, როცა იგი საჭიროდ დაინახავს, გამოიანგარიშოს ხოლმე ამა დადგენილების მე-2 მუხლით დაწესებული განაკვეთი ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებათ, რუსეთის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახელმწიფო ბანკის ბანკნოტების კურსის ცვალებადობის მიხედვით.

5. საერთო ხელმძღვანელობა იმ საქმეთა, რაც შეეხება შირის კალოშების აქციზის გადახდევინებას—დაევალება ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ი. სტურუა.**

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ბ. თალიბლი.**

ბრძანება.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

1. სრულიად საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად, ამხ. [illegible] დანიშნულია ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისრად.

2. უმაღლეს სახალხო სამეურნეო საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნულია ამხ. ჟოჟიკაშვილი.

ს. ს. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ივ. სტურუა.**

ს. ს. ცენტრალური აღმას. კომიტეტის მდივანი **პ. საბაშვილი.**

1923 წ. ივლისი „10“
ტფილისის-სასახლე.

ცირკულიარი

უმუშევართა დაზღვევის წესის შესახებ იმ ადგილებში, სადაც გაუქმებულია შრომის ბაზრის მომწესრიგებელი ორგანოები.

ყველა დამზღვევ კასებს.-

ვინაიდან ბევრ ადგილებზე გაუქმებულია როგორც შრომის ბირჟები, აგრეთვე საკორესპონდენტო პუნქტი, რაც დამზღვევ კასების წინაშე აყენებს უმუშევართა უზრუნველყოფის წესრიგის მოგვარებას, ამიტომ შრომის სახალხო კომისარიატი წინადადებას აძლევს ყველა დამზღვევ კასებს, რომლების ადგილ-მდებარეობაზე არ არსებობს შრომის ბირჟები და საკორესპონდენტო პუნქტები — უმუშევრების დაზღვევის დროს იხელმძღვანელონ შემდეგი წესით.

1. ყველა ის უმუშევრები, რომლებიც მიმართავენ სათანადო დახმარებისათვის დამზღვევ კასებს, უკანასკნელთა მიერ აღრიცხვაზე უნდა იყვნენ აყვანილი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ აღმოაჩნდებათ სათანადო მოწმობა ან შტატების შემცირების ან წარმოება-დაწესებულების ლიკვიდაციით გამოწვეულ დათხოვნის გამო.

2. ხსენებულ მოწმობის წარმომდგენი დაზღვეული იქნებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ მიმართეს დამზღვევ კასებს არა უგვიანეს 30 დღისა, სამუშაოდან დათხოვის შემდეგ.

3. საერთოდ უმუშევართა უზრუნველყოფის, ე. ი. დახმარების გაცემის რაოდენობის და ამ უკანასკნელის ხანგრძლივობის შესახებ დამზღვევი კასები ვალდებულნი არიან იხელმძღვანელონ მუშა-მოსამსახურეთა სოცდაზღვევის კანონდებულებათა კრებულის გვ. გვ. 27, 47, 48, 49 და 50-ით.

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარი **ლ. დუმბაძე.**

განცხადებები

უღრმესს მწუხარებაში მყოფნი მშობლები: დედა ეფროსინე დიმიტრის ასული, მამა იულონი ლომინის ძე. დები; ნადეჟდა მოწონელიძისა, აგრაფინა, ზინა და ლიუბა; ძმები: იპატი და სერაფიმე; სიძე აკაკი ტარიელის ძე მოწონელიძე; ბიძიები: ვასილი, ნიკო და სილიბისტრო კერძაიები. შვილებითურთ; დეიდები: ქრისტინე კაჭარავასი და ეღუკი კვაჭანტირაძე და ბიძა მღვდელი ბეგლარ კაჭარავა აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებსა და ნაცნობთ, რომ 17 ივლისს, სამშაბათს, ს. ნოსირის წმინდა გიორგის ეკლესიის გალავანში, სასაფლაოზე იქნება გადახდილი წლის პანაშვიდი მეორე სახელმწიფო კონსერვატორიის მსმენელი, მათთვის დაუვიწყარი

ვერა იულონის ასული კერძაიას

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი დაიწყება 12 საათზე

940—1—1

1923 წ. ივლისის 6 დღესა, საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სახელით,

აბაშის უბნის სახალხო სასამართლო

შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე პ. ქ. კაჭარავა, მორიგი სახალხო მსაჯულნი: ჟ. დ. ჭანტურაიას ასული, ნ. თოფურია, მდივნის ს. დ. კვაჭანტირაძის თანდასწრებით საჯარო სხდომაზე მოისმინა სამოქ. სამართლის საქმე საჩივრისა გამო ონიფანტე ქ. ოჩიგავასი აკაკი მეთოსძე ხოშტარიასა და კონდრატე ლუარსაბისძე გოცირიძესთან 2386 მან. და 69 კ. ოქროთი თაობაზე მოპასუხეების დაუსწრებლათ დაადგინა: გადახდესთ აკაკი მ. ხოშტარიას და კონდრატე ლუარსაბისძე გოცირიძეს ურთიერთ პასუხისმგებლობით მიბარებითი წერილით ორი ათას სამას ოთხმოცდა ექვსი მან. და 69 კაპ. ოქროთი, სასამართლოს და საქმის წარმოების ხარჯი ორას ოცდა თვრამეტი მანეთი ოქროთი, ზაკბონით კი გადახდევინების დღის კურსის მიხედვით ონიფანტე ქ. ოჩიგავას სასარგებლოთ გადახდეს მომჩივან ონიფანტე ოჩიგავას სასამბაჟო ორას ორმოცი მილ. მან. და საღერბო გადასახადი სამასი ათასი მანეთი ზაკბონით, გადახდევინების დღის კურსის მიხედვით. განჩინება წინასწარ იქნეს სისრულეში მოყვანილი. განჩინების ასლი ეუწყოს მოპასუხეებს გაზეთით. ვადა და წესი გასაჩივრებისა გამოცხადებულია. წაშლილია: „გადახ“ და „გადა“ ერწმუნეთ.

დედანზე ხელს აწერს სახ. მოსამართლე პ. ვ. კაჭარავა და სხ. მორიგი მსაჯულნი: ჟ. ჭანტურაია, (განსაკუთრებული აზრისა) ნოვე თოფურია.

აბაშის უბნის სახალხო სასამართლოს
951—1—1 მდივანი ხ. კვაჭანტირაძე.

კბილის ექიმი
ს. ა. ცეიტლინი
საპიორის ქ. № 41, მიიღება მუდამ დღე 9—2 საათ. დღის და 4—7 ს. საღ.
კვირაობით 9—2 ს. დღის
ხელოვნური კბილები. ოქროს მუშაობა 25—23

ელექტრონის სინათლის და
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის ხელმძღ.
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებ ექიმობას საჭიროებენ.
საამბულატორიო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (501—25—18)

დაიკარგა პასპორტი, გაცემული ქ. ახალციხეში პავლე ზურაბიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
953—1—1

„ზარია ვოსტოკა-ს“ სტამბა, კრუზენშტეინის ქუჩა № 4.